

მიხედვით მინას; მინა დაგამურებო და გაგათმომა ფუნქცია!

+ ასაკი

Agró News.ge

# მარცხენა სამართლებრივი

ISSN 1987-8729

9 771 987 872003

სამართლის-საინიშვნო ურნალი

№2 (113), თებერვალი, 2022



ელექტრო მწყემსი

შპს "როვი"  
597 873407



## ელექტრო მცხავსი პირუტყვისთვის უსაფრთხოა



ელექტრო მცხავსი  
ფერმერებს  
და უზოგავს ენერგიას,  
ნიღვებს და ფულს

ელექტრო მცხავსი არის მარტივი მოწყობილობა, რომელიც შედგება შუალედური გოძვისგან, რომელთა შორის გაზიარებია ელექტროგამტარი (გავთული, კაბელი, ლენტი). ელექტრო ღოგება გაცემის დროის მინიმუმის, ასევე გაცემის დროის, ფუტკრის სკის, ღია ცის ქვეშ ვრცელებების გალივების შემსახურებად და საპოვრების გარეული ცხოველებისგან დასაცავად. არსებობს ელექტრო ღოგის კომალებთა ცის სევადასევა ვარიაციები, იმის მიხედვით თუ რა ფართობის შემოღობა და დაცვა არის საჭირო.



## ასალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine  
თებერვალი, 2022 წლი.  
№2 (113)

### სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარეშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგუარ ებარიძე, მიხეილ სიხაძე, ნეტან  
გუგუშვილი, თამარ სახიძე, რუსულა  
გიგმაშვილი (ხელსამზღვებრი), თემა ნიშაძე,  
ნუგუარ ექინოპარიძე, ნიღარ ბრეგვაძე,  
გიორგი ბარისაშვილი (მეცნარება-  
მეცნიერებას რედაქტორის რედაქტორი),  
ნატო ჯაბიძე, დავით ბირიაძე (რედაქტორი),  
მალხან ხახუაშვილი  
(ელ. ფურნალ agronews.ge-ს კონსულტატი)  
თამა გუგუშვილი (მდგრ. გვრ. რედაქტორი),  
editor of English version Tamta Gugushvili

### სამეცნიერო საბჭო:

აკადემიუსები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევან მახარიძელიძე (თამარებარე),  
გურა ალექსანდრიძე, გიორგი ჯუფარიძე,  
ზაურ ფუტარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი,  
ნუგუარ ებარიძე, მარტა კოლუშვილი,  
ელგუჯა შავაქიძე ზვად ბრეგვაძე,  
ელგუჯა გუგუშვილი, გრგოლა მარგველაშვილი,  
ანა გულაძინ, ლევან უჯამაჯურიძე,  
ადოლტ ტემულაშვილი, ნატო კკაბაძე,  
კამალ ქახა ლაშვილი,  
ჯემალ კაციტაძე, ნური მემარნიშვილი,  
ნიკოლოზ ზაქაშვილი, მიხეილ ჭიჭავა,  
დავით ბოსტაშვილი, რეზო ჯაბიძე,  
იოსე სარჯევლაძე, თეგნიზ ეკუმშვილი,  
ანატოლი გიორგაძე, ზურაბ ლოლაძე,  
კობა კობალაძე.

დაკაბადონა გიორგი მასიშვილაძემ  
უკრანილი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with the principles of free press.  
© საქართველო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„იკვერიელი“  
(ფორულ ბიბლიოთეკა)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

ახალი აგრარული საქართველო  
დაბიჭვიდა შპს „გამომცემლობა გრიფინში“

### გამოცემები:

„აგრარული სექტორის  
კომპანიების სპონსორია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კუნიძიგური  
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონი“; Regionica Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მსამართი:  
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტე/ტე/ტე: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

## ნოვერში წაიკითხათ:

### მოს შვილები -

რომ საგაკალავრო აროგრამაზე

**4** აუკინებეს

**6** ბიოლოგიური გათოდაში  
გამოვალეობაში

**9** აცურული გამოვარება და  
კონდიციონირებული ტურისტები

**15** გაგუს დანატოვარ გამული  
გამოცემული თხილის პალი -  
„ჯიორნი“ სამგრალოში

**16** იურისორიდან  
უერთორებაში

**21** როგორ მოიყვანა  
ინოვაციური გათოდაში მასშა  
უერთორება კარტოფილი

**22** როგორ სურეალის ფუზირის  
გადი ზამთარში

**23** სანაზარებელი გამოვალის საკითხები  
მაგრავრებაში

**28** მასონი გამოვალის საკვანი  
გაზის სრულყოფის  
ზემოღობის გამოვალი

**30** სასარგებლო ენაროში -  
უერთორება დასახარაგლად



**10**

გაცხოველება, ზორბეჭინია,  
ზორბეჭინია

რაც შეეხება ტერმინს „ზორბეჭინია“: აქ ვერ მივიღებ მოსაზრებას, რომ მისი ჩანაცვლება ტერმინით „მეცხოველეობა“ გამართლებულია.

**31** ლეიტის ჯიშები, გაღის  
გამოვალი და მოვლა

**33** გავთ კითხვა აპროცესის?

**34** გავთ კითხვა ვეზარინიართან?

### შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“

სამეცნიერო სტატიის ცარმოდგენის და გამოქვეყნების ცენტი:

- შურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს სოფლის მეურნეობის თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო.
- სტატიები მიიღება ქართულ, უკრაинულ, რუსულ, ინგლისურ, ენგბზე. სტატია გამოქვეყნდება დედნის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

### სტატიის გაფორმების ცენტი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენგბზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენგბზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენგბზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენგბზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylfaen) სილფანი, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კიდიდან დაშორება 2,5 სმ.



## მთის ჟვილებს - ოთხ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლას სრულად სახელმწიფო აფიციანებს

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის №751 ბანდარეულების თანხმდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი გაიმარჯვი მთის მდგრადი განვითარების განვითარების ფაკულტეტი (შემდეგში ფაკულტეტი).

კავკასიის, შუაზისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პირველი საერთაშორისო, ევროსტანდარტის, ევროპის მდგრადი განვითარების საგანმანათლებლო სისტემასთან ინტეგრირებული, ტრანსდისციპლინარული მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მზადების პირველ ეტაპზე 2020 წელს მომზადდა და აკრედიტაცია წარმატებით გაიარა ბაკალავრიატის ოთხმა საგანმანათლებლო პროგრამამ, ესენია.

1. მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება;
2. მთის მდგრადი ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
3. მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი;
4. მთის ბუნებრივი საფრთხეები და მდგრადი გარემო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეპროპელ სამომავლო პარტნიორ უნივერსიტეტებთან განხილვისა და მზადების ეტაპზეა მდგრადი განვითარების სწავლების სამაგისტრო პროგრამები ექვსი მიმართულებით (მდგრადი განვითარების მართვა, მთის მდგრადი განვითარება, მდგრადი ბიოეკონომიკა, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი ორგანული სასურსათო სისტემები და ეკოლოგია, სასარგებლო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება და მდგრადი გამოყენება) იგეგმება, ასევე ფაკულტეტთან მდგრადი განვითარების სისტემების საკონსულტაციო, სასწავლო კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიცირების ევროპული სტანდარტის (ორგანული პროდუქტების) ლაბორატორით.

მსგავსი დასახელების ფაკულტეტი არის მხოლოდ დიდ ბრიტანეთის მთისა და მაღლამზოს უნივერსიტეტში, საქართველოში ამ ფაკულტეტზე სახელწოდებიდან გამომდინარე პირველად მომზადდება მთის მცოდნე სპეციალისტები შესაბამისი საერთაშორისო დონის დიპლომებით, ფაკულტეტს საპარტნიორო ხელშეკრულებები აქვს ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებთან ერთობლივი დიპლომების გაცემის თაობაზე.

ფაკულტეტის ოთხივე სპეციალობაზე სწავლას სრულად სახელმწიფო აფინანსებს, რაც ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერზე ატვირტულია სახელმწიფო დაფინანსების სწავლების პროგრამათა შორის.

ასევე შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტების ფასიანი სასწავლო პროგრამებიდან ჩვენთან უფასოზე მობოლობა.

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული პროგრამის დამთავრების შემდეგ დასაქმების სფეროები. იხილეთ დანართი.

პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებ. კვალიფიკაც.	კოდი	დასაქმების სფერო
მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება	გარემოსმ-ცოდნების ბაკალავრი	0030166	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სამინისტროს მთის მდგრადი განვითარების პროექტები;</li> <li>• საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> <li>• მთის სოფლის მდგრადი განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივი პროგრამები;</li> <li>• მთის დარგობრივი ფერმერული გაერთიანებები და კოოპერატივები;</li> <li>• სასათბურე მეურნეობები;</li> <li>• გარემოსდაცვითი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები;</li> <li>• „შპს მექანიზატორის“ რეგიონალური მომსახურეობის ცენტრები;</li> <li>• კებებისა და სურსათის უზნებლობის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;</li> <li>• საგაფრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო (აგრარული ბაზრები, სუპერდა პიპერმარკეტები);</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამზადებელი საწარმოები და კომპანიები;</li> <li>• აგრო-წარმოების მოწყობის სამსახურები;</li> <li>• აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;</li> </ul>

პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებ. კვალიფიკაც.	კოდი	დასაქმების სფერო
			<ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფო/კერძო კვლევითი, საკონსულტაციო და მომსახურების ცენტრები;</li> <li>• მთის მდგრადი განვითარების დარგობრივი, სახელმწიფო/კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები;</li> <li>• მაღალმთიანი რეგიონალური აგროტურისტული ორგანიზაციები;</li> <li>• სატყეო მეურნეობები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები;</li> <li>• სოფლის სოციალურ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;</li> <li>• მთის ბუნებრივი რესუსების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციები;</li> <li>• მთის ბუნებრივი კატასტროფებისა და გარემოს მდგრად დაცვაზე მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.</li> </ul>
მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა	მენეჯმენტის ბაკალავრი	0030168	<ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. ფერმერული გაერთიანებები და კომპერატივები. სასათბურე თუ სხვა სახის რგანული მეურნეობები.</li> <li>- შპს „საქანიზატორის“ და შპს „მექანიზაციის“ სერვის ცენტრები.</li> <li>- კვების, სურსათის უვნებლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. ორგანული მეცხოველეობის ფერმები.</li> <li>- სავაჭრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო (აგრარული პაზრები, სუპერ და ჰიპერმარკეტები).</li> <li>- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოები და კომპანიები. აგრო-ნარმოების მოწყობის სამსახურები.</li> <li>- აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფო, კერძო კვლევითი და საკონსულტაციო და მომსახურების ცენტრები. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამუშავერო კვლევითი დაწესებულებები.</li> <li>- დარგობრივ სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები.</li> <li>- INVITRO გამრავლების, ორგანული თუ ჩვეულებრივი სათესლე და სარგავი მასალების წარმოები.</li> <li>- რეგიონალური, მუნიციპალური და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები, დარგობრივი ბიზნეს კონსულტაციები, გაყიდვები, სავაჭრო პრესა, დარგთან დაკავშირებული</li> <li>სამსახურები, საგანმანათლებო დაწესებულებები.</li> <li>- ორგანული კვების მრეწველობა.</li> <li>- ორგანული მოსავლის წარმოება, მცუნარეთა და გარემოს დაცვა, მცენარეების მოშენება,</li> <li>- ორგანული ცხოველების კვება, მეცხოველეობა, ცხოველების მოშენება.</li> </ul>
ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა	გარემოს ინჟინერია	0030169	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.</li> <li>• ბუნებათსარგებლობის დაცვითი მნიშვნელობის ობიექტები.</li> <li>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი</li> <li>• ბუნების დაცვის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;</li> <li>• სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები;</li> <li>• ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურები</li> <li>• კერძო ორგანიზაციები;</li> <li>• საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები;</li> </ul>
მთის მდგრადი ტურიზმი და მსპინძლობის მენეჯ-მენტი	ტურიზმის ბაკალავრი	0030167	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;</li> <li>• აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი;</li> <li>• აჭარის ტურიზმის სააგენტო;</li> <li>• დაცული ტერიტორიების სააგენტო;</li> <li>• დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები;</li> <li>• კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;</li> <li>• რეგიონული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები;</li> </ul>

ნოვ ბრზოვანიძე, ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;  
მარა ძობაძე, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი

## ბიოლოგიური მეთოდები მაცხოველებაში

ცხოველის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მის მიმართ კულტური დამოკიდებულება ორგანული სოფლის მიურნეობის პრიცესის არის.

თავდაპირველად ორგანული სოფლის მეურნეობის მიმდევრები მეცხოველეობას მემცენარეობის დანამატად აღიქვამდნენ, მას უყურებდნენ, როგორც სასუქის მოპოვების საშუალებას და შინაური ცხოველების რაოდენობა მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საჭიროებას შეესაბამებოდა. თვით ცხოველებს, მათ საჭიროებებს, საარსებო პირობებსა და სხვა თავისებურებებს ხშირად უგულებელყოფნენ.

მეცხოველეობის თანამედროვე ფერმების ძირითადი ინტერესი ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდაა, რასაც სხვადასხვა მეთოდებით აღნევენ: ღორების მოთავსება ბელ სალორები და მხოლოდ ხელოვნური საკვებით გამოკვება, ქათმების გამოკვება პორმონალური საკვებით და მათი მოთავსება ვიწრო გალიებში – ეს ყველაფერი ენინაალმდეგება შინაური ცხოველისა თუ ფრინველის ბუნებრივ ინსტიქტებს. ცხოველებს გააჩნიათ ე.წ. „მეუქსე გრძნობა“, რომლითაც ისინი ერთმანეთს, ჩვენთვის ამოუცნობი საშუალებებით უკავშირდებიან. ცხოველები მხოლოდ ინსტიქტებით (თანდაყოლილი ან შეძენილი) მოქმედებენ. ბუნებრივი ინსტიქტების სანინაალმდეგო მოქმედების შედეგიც სახეზეა: უნაყოფობა, მაღალი ინფექციური ფონი, დაბალი გამძლეობა, უხარისხო პროდუქცია, რაც ხშირ შემთხვევაში ცხოველების

არაბუნებრივ პირობებში გამოზრდისა და შენახვის შედეგია. თუ მოვლის პირობები შეძლებისადაცვარად არ შეესაბამება ცხოველის ბუნებრივ ინსტიქტებს, ირღვევა ბუნებრივი კანონზომიერება და საუკეთესო საკვებიც კი ვერ გამოასწორებს მდგომარეობას. დღეისათვის სიტუაცია ნაწილობრივ გამოსწორდა და ბიომეურნეობაზე გადასვლისას იცვლება დამოკიდებულება არა მხოლოდ ნიადაგის, არამედ ცხოველების მიმართაც. ძნელია, მაგრამ მაინც მკვიდრდება მოსაზრება, რომ ორგანულ მეურნეობაში დამზადებული საკვების გარდა აუცილებელია ჯიშების სწორად შერჩევა და მოვლის პირობების ცხოველის ბუნებრივ ინსტიქტებთან მისადაგება.

აღსანიშნავია, რომ ცელილებები მემცენარეობაში გაცილებით სწრაფად და ეფექტურად ხორციელდება, ვიდრე მეცხოველეობაში. ყველა მეურნეს კარგად ესმოდა და ესმის მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების მნიშვნელობა, მაგრამ მრავალი წელი დასჭირდა იმის გააზრებას, რომ მეცხოველეობაში გამოყენებული ანტიბიოტიკები არამარტო მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხს აუარესებს ნარჩენი რაოდენობების არსებობის გამო, არამედ უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზეც – ანტიბიოტიკები ნაკელშიც ინარჩუნებენ აქტივობას

და ნიადაგში მოხვედრისას შეუძლიათ იმ მიკროორგანიზმების განადგურება, რომელთა ცხოველმოქმედება ნაყოფიერი ნიადაგის ფორმირებას უწყობს ხელს.

ბიომეცხოველეობა შედარებით ახალი მიმართულებაა, რომლის კვლევა დღესაც მიმდინარეობს: ჯიშთა შერჩევა, მოვლის პირობები, სწორი კვება, მეურნალობა – ეს ის საკითხებია, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვანია ორგანულ მეურნეობაში.

კონვენციური ფერმების მიზანია გაზარდონ ცხოველთა პროდუქტულობა ნებისმიერი საშუალებით, კერძოდ ახალი პროდუქტული ჯიშების გამოყვანა, მოვლის პირობებისა და საკვები რაციონის სასაქონლო მოთხოვნაზე მორგება, კლონირებისა და ემბრიონის გადანერგვის მეთოდების გამოყენებით მართლაც იზრდება ცხოველთა პროდუქტიულობა, მაგრამ ეს ხდება ადგილობრივი ჯიშების გადაშენების, ცხოველთა ჯანმრთელობის გაუარესების, მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის დაბინძურების ხარჯზე. ორგანულ მეურნეობაში ცხოველთა ჯიშების შერჩევისას გათვალისწინებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი და ყურადღება ექცევა ადგილობრივ პირობებს მაქსიმალურად მორგებული ჯიშების შეძენა-გამოყვანას. ამასთან პროდუქტიული საქონლის შეძენა ნებადართულია მხოლოდ ორგანულ მეურნეობაში, მაგრამ რიგ შემთხვევებში თუ არ არის ორგანულ მეურნეობაში შეძენის საშუალება, დასაშვებია საქონლის ან სანაშენე ცხოველის ნაწილის (10-15%) შეძენა კონვენციურ მეურნეობაში.

ორგანულ მეურნეობაში ცხოველთა მოვლა-შენახვა უნდა ეყიდვებოდეს მათ ბუნებრივ ინსტიქტებს. დაუშვებელია ცხოველების მუდმივად დაბმა ან სადგომებში შენახვა. ყველა ცხოველს უნდა ჰქონდეს საძოვარზე ან ისეთ ადგილზე გასვლის საშუალება, სადაც იგი თავისუფლად იმოძრავებს და ყველა ბუნებრივ მოთხოვნილებას დაიკავიოს. ცხოველების სადგომი არატოქსიკური მასალებისაგან უნდა აშენდეს, დაცული უნდა იყოს



შესაბამისი ტემპერატურა, ვენტილაცია, სისუფთავე და სხვა. არაბუნებრივი ან უბრალოდ ცუდი პირობები ცხოველებში იწვევს სტრესს, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მათ იმუნურ სისტემაზე და ასეთი ცხოველები გაცილებით ხშირად ავადდებიან სხვადასხვა დაავადებებით: ზედა სასუნთქი გზების დაავადებით, კუჭის წყლულით, მასტიტით და სხვა.

ცხოველთა კვება ორგანულ მეცხოველეობაში ერთ-ერთი საკანკალო საკითხია. სწორი კვება, ერთის მხრივ, ცხოველთა ჯანმრთელობას უწყობს ხელს და მეორეს მხრივ მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის გარანტიცაა. სწორი კვება, რომელიც ეფუძნება სახეობრივი თავისებურებების გათვალისწინებას, სერიოზული პროფილაქტიკური ღონისძიებაა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. მაგ: მსხვილფეხა რქოსან საქონელს (ძროხას) რთული საჭმლის მომნელებელი სისტემა აქვს და არასწორი კვების პირობებში ნივთიერებათა ცვლის სერიოზული დარღვევა ხდება. სწორი კვება გულისხმობს საკვების ხარისხსაც და მასში შემავალი კომპონენტების სწორ ბალანსს. ორგანულ მეურნეობაში ცხოველები უნდა იკვებებოდნენ მხოლოდ ბიოლოგიური საკვებით და იგი უნდა დამზადდეს მეურნის მიერ საკუთარ მეურნეობაში. თუმცა დასაშევებია საკვების შეძენა სხვა მეურნეობიდან და გამონაკლის შემთხვევაში, მცირე რაოდენობით შეიძლება კონკრეტურ მეურნეობაში დამზადებული საკვების გამოყენებაც. რაც შეეხება კვების რაციონს, აუცილებელია ყველა მცონევლმა, ყოველდღიურად მიიღოს უხეში საკვები. საძოვრის პერიოდის დამთავრების ან საძოვრის პროდუქტიულობის შემცირების შემდეგ, რომელიც სრულფასოვან წვნიან საკვებს წარმოადგენს, ყველა სახის ცხოველისათვის ძალიან სასარგებლოა ისეთი წვნიანი საკვების მიცემა, როგორიცაა ჭარხალი, ტურნეფსი და სხვა ძირსვენები, სილოსი და ბალჩეული კულტურები. მათ წაცვლად ან მათთან ერთად წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას კარტოფილი. იგი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს შეიძლება მიეცეს ნედლი სახით, ხოლო ღირებს, ბოცვრებს და ფრინველებს მოხარშული სახით. დაუშვებელია ცხოველთა საკვებად

გამოყენებულ იქნას დამპალი ან მიწიანი ძირხვენები და კარტოფილი. ასევე დაუშვებელია მწვანე კარტოფილის გამოყენებაც, რადგან იგი შეიცავს სოლანინს, რომელიც შხამს წარმოადგენს და იწვევს როგორც ადამიანის, ისე ცხოველის ძლიერ მონამვლას. გაყინული კარტოფილის საკვებად გამოყენებისას აუცილებელია მისი გაღლობა, ამასთან ისეთი რაოდენობით, რომ ცხოველს ერთჯერად საკვებად ეყოს. წვნიანი საკვების მიცემისას გასათვალისწინებელია ცხოველების ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესაბამისი ნორმები. დღიური ნორმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვებში ცილების რაოდენობას, მათ საკვებ ერთეულთან და შაქრებთან შეფარდებას. ამ მაჩვენებლის დაღვევა საკვების გადახარჯვას, პროდუქტიულობის დაევეითებას და ბერნიანობას იწვევს.



ჭინჭრის ფეხნილის დამატებისას შე-  
მოდგომა-ზამთრის ცივ პერიოდშიც  
კი კვერცხებს დებენ. როგორც წლის  
ცივ, ისე სხვა პერიოდში საუკეთესო  
ცილოვან-ვიტამინოვან საკუებს ყვე-  
ლა სახის ცხოველისა და ფრინველი-  
სათვის გაღივებული მარცვალი – ჯე-  
ჯილი წარმოადგენს.

ზამთრის პერიოდში განსაკუთრებულ მაკე ცხოველს სადგომის ტემპერატურის ან არანაკლებ  $15-17^{\circ}\text{C}$ -ზე გამოიყენეთ წყალი უნდა მიეცეს. უფრო ცივი წყალი სხვა ცხოველის შემთხვევაში გაძლიერების წინაპირობაა.

ცხოველთა საკუებდანამატებად  
შესაძლებელია მცენარეული პრო-  
დუქტების, კვების მრეწველობის  
ანარჩენების, ბაქტერიების, სოკოე-  
ბისა და ცილების გამოყენება. ორ-  
განულ მეურნეობაში აკრძალულია  
საკვები დანამატების სახით სინთე-  
ზური ზრდისა და მადის რეგულა-  
ტორების, ჰორმონების, კონსერვან-  
ტების, საღებავების, ყველა ტიპის  
ექსკრემნტების, გამხსნელებისა და  
სხვა ქიმიური აგენტების, ასევე გენ-  
მოდიფიცირებული ორგანიზმებისა  
და მათი პროდუქტების გამოყენება.  
პრატიკით დამტკიცებულია, რომ  
აღნიშნული დანამატები უარყოფით  
გავლენას ახდენენ ცხოველის ჯანმ-  
რთელობაზე. მაგ: კონცენტრატების  
დიდი რაოდენობით გამოყენება ძრო-  
ნის ნიგნარაში მჟავიანობის არასა-  
სურველ მომატებას იწვევს. აგრეთვე  
აქვეითებს მეცხოველეობის პრო-  
დუქტების ხარისხსაც, კერძოდ რძის  
პროდუქტებში აღმოჩენილია ჰორ-  
მონალური პრეპარატების ნარჩენი  
რაოდენობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე „ელ-კანას“ სტანდარტის მიხედვით: —



ცხოველთა საკვებად გამოყენებული საკვების მინიმუმ 50% უნდა იყოს ადგილობრივად, მეურნეობაში წარმოებული;

„ელგანას“ სტანდარტის მიხედვით:

– ცხოველთა საკვებად გამოყენებული საკვების მინიმუმ 50% უნდა იყოს ადგილობრივად, მეურნეობაში წარმოებული;

– ცხოველთა გამოკვება 100%-ით ბიოლოგიური საკვებით უნდა ხდებოდეს. თუ ორგანულ მეურნეობაში არ არის საკვების შეძენის საშუალება, მაშინ გამონაკლისის სახით დასაშვებია გარკვეული რაოდენობის საკვების დამატება კონვენციური მეურნეობიდან, კერძოდ მცოხნელებისათვის 10%, არამცოხნელებისათვის 15%;

– აკრძალულია საკვები დანამატების სახით სინთეზური ზრდისა და მაღის რეგულატორების, ჰორმონების, კონსერვანტების, საღებავების, ყველა სახის ექსკრემენტების, გამხსნელებისა და სხვა ქიმიური აგენტების, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათი პროდუქტების გამოყენება. მეცხოველობის ანარჩენების (სისხლი, შიგნებულობა და სხვა) მცოხნელებისათვის საკვებად გამოყენება აკრძალულია.

ბიომეურნეობაში ცხოველთა მეურნალობაში უპრატესობა ენიჭება პროფილაქტიკური ღონისძიებების გამოყენებას. მედიკამენტებით მეურნალობა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა პროფილაქტიკური და მეურნალობის ბიომეტოლები არა-ეფექტურია, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდ ყურადღება საჭირო, რადგან ქიმიური პრეპარატების ხშირი გამოყენება ცხოველის ჯანმრთელობისათვის არასასურველია. მაგ. ანტიბიოტიკებით მეურნალობა ინვევს ნაწლავის მიერთოვლორის დათრგუნვას, დაავადებების გამომწვევები

გარკვეული დროის შემდეგ გამოიმუშავებენ რეზისტენტულობას სადეზინფექციო საშუალებებისა და მედიკამენტების მიმართ, რის შემდეგ ამ პრეპარატების გამოყენება იმავე დოზით არაეფექტურია და აუცილებელი ხდება სამურნალო საშუალებების ან მათი დოზების შეცვლა. სინთეზური მედიკამენტებით მეურნალობა უარყოფით გავლენას ახდენს მეცხოველეობის პროდუქტის ხარისხზეც, ვინაიდან მათში რჩება მედიკამენტის ნარჩენი რაოდენობები. მაგრამ თუ პროფილაქტიკური ღონისძიებების მიუხედავად, ცხოველი ავად გახდა, უნდა მოხდეს მისი იზოლაცია და მკურნალობა. უპირატესობა ენიჭება ბიოპრეპარატების გამოყენებას. მაგრამ საქართველოში, სადაც, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მეცხოველეობის პარაზიტებისა და დაავადებების გავრცელების მაჩვენებელი ძალზე მაღალია, ბიოპრეპარატები პრაქტიკულად არ არსებობს. როგორ მოიცეს ბიომეურნე? აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად „ელგანამ“ კავშირი დაამყარა ბიოპრეპარატებისა და ბიოვეტპრეპარატების მნარმოებელ ფირმა „ფარმბიომედთან“. მათი საშუალებით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს ეფექტური ბიოვეტპრეპარატი „ავერსექტ2“. იგი ეკოლოგიურად უსაფრთხო პრეპარატია, გამოიყენება როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ.

2004 წ. „ელგანამ“ ხელშეკრულება გააფორმა სამეცნიერო-სანარმოო ფირმა „ბიოტეკასთან“, „ავერსექტ-2-ის“ სანარმოო გამოცდის თაობაზე. წინასწარი ცდები ჩატარდა საჩხერის რაიონში მცხოვრები „ელგანას“ წევრი, ინდმენარმის ამირან კაბანაძის მეურნეობაში, საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის

ჰელმინთოლოგის განცოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით.

ცდები ჩატარდა მსხვილფეხა რქოსან ბირუტყვზე (35 სული), რომლებიც დაინვაზიებული იყო სტრონგილატებით, ნეოასკარიდებით და ტრიქოცეფალებით. გარდა ჰელმინთებისა, საცდელ სულადობაში აღინიშნა ჰიპოდერმატიდები, რომლებიც მრავლობითი კოპებით ისინჯებოდა. თითოეულ სულს პრეპარატი შეუყვანებით 1მლ/50კგ ცხოველის მასაზე. ანალოგიური ცდები ჩატარდა 3-5 თვის ბურვაკებზე (17 სული), რომლებიც დაინვაზიებული იყვნენ ასკარიდებით, ეზოფაგოსტომებით, ტრიქოცეფალებით და მეტასტრონგილიდებით. პრეპარატის დოზა იყო 1მლ/33კგ ცხოველის მასაზე. ანალოგიური ცდები ჩატარდათ 22 ცხვარს, რომლებიც დაინვაზიებული იყვნენ სტრონგილატებით, დიქტონკაულებითა და ესტროზის მატლებით. პრეპარატის მიცემიდან 10-10 დღის შემდეგ მსხვილ რქოსან პირუტყვში სტრონგილიტების, ნეოასკარიდების და ტრიქოცეფალების დროს ექსტენსეფექტურობამ 93,3% შეადგინა, ხოლო რაც შეეხება კანქვეშა ბორას – კოპების უმეტესობა დარბილებული იყო და ოდნავი მოჭრის შემდეგ უკვე განვითარებული ხერელებიდან მკვდარი ზღმურტლები გამოსდიოდათ. ღორებში ეფექტურობა შედეგნარი იყო: ასკარიდოზის დროს 83,3%, ეზოფაგოსტომზის – 91,67%, ტრიქოცეფალოზის – 75%, ხოლო მეტასტრონგილოზის დროს 100%. ცხვარში სტრონგილატოზების დროს ექსტენსეფექტურობამ 100% შეადგინა, დიქტონკაულოზის დროს – 86,67%, ხოლო ესტროზის დროს – 93,3%. წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრეპარატი „ავერსექტ-2 მაღალალეფექტური ანტიზელმინური, ჰიპოდერმატიდული და ესტროციდული საშუალებაა და საბოლოო დასკვნების გაეცემას შემდეგ რეკომენდებულია მისი დანერგვა ჩვენს ქვეყანაში ზემოთ მითითებული პარაზიტების წინააღმდეგ.

ბუნებრივი მეთოდების გამოყენებას საფუძვლად უდევს ცხოველის ორგანიზმის ერთ მთლიანობაში განხილვა ანუ ღონისძიებათა სისტემა მიმართულია არა ერთი რომელიმე ორგანოს დარღვევის სამკურნალოდ, არამედ მთლიანად ორგანიზმის თავ-

დაცვისუნარიანობის გაძლიერებისაკენ. მეცხოველეობაში გამოყენებულ ბუნებრივ მეთოდებს შორის გამოყოფენ ჰომეოპათიის, ფიტოთერაპიის და ტრადიციული (შინაური) საშუალებების გამოყენებას. ჰომეოპათია, როგორც მედიცინაში ისე ვეტერინარიაში, სათავეს იღებს მე-18 საუკუნიდან. მეთოდის საფუძველი გახდა კონცეფცია – მსგავსი კურნავს მსგავს. თუ ნივთიერება ორგანიზმში რაიმე სიმპტომებს იწვევს, მაშინ იგი შეიძლება ამ სიმპტომებისაგან განკურნვის საშუალებაც იყოს. მაგ. ფუტკრის შხამი კარგი საშუალებაა მნერების ნაებენის სამკურნალოდ. ჰომეოპათიური პრეპარატებით მკურნალობა გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, ამიტომ მათი გამოყენება სპეციალისტის კონსულტაციის გარეშე არარეკომენდებულია. რაც შეეხება ფიტოთერაპიასა და შინაური საშუალებების გა-

მოყენება ეყრდნობა ხალხის ისტორიულ გამოცდილებას და წარმატებით გამოიყენება. საქართველოში მრავლადაა მცენარეები, რომელთაგან დამზადებული ნაყენები, ნახარშები თუ ნედლად გამოყენება ძალზედ ეფექტურია. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: აბზინდა, ლემა, ლენცოფა გამოიყენება ცხოველთა გასაბანად პარაზიტების წინააღმდეგ. დეზურა მაღალი – ადამიანისა და ცხოველების ექტოპარაზიტების წინააღმდეგ, შხამა – მაღის გასაუმჯობესებლად, მალამოდ მუნის წინააღმდეგ და პარაზიტი მწერების წინააღმდეგ, მარიამსაკმელი – საქონლის მუნის წიმააღმდეგ.

**ელკანას სტანდარტი ცხოველთა მეურნალობის შესახებ:**

– ცხოველთა მეურნალობისათვის ბიომეურნემ უნდა გამოიყენოს პრო-

ფილაქტიკური ღონისძიებები. თუ პროფილაქტიკური საშუალებები შედეგს არ იძლევა მედიკამენტი უნდა მიეცეს ვეტერინარის დანიშნულებით;

– დასაშვებია სანიტარული სამსახურის მიერ დაწესებული ვაქცინაცია; გენმოდიფიცირებული ვაქცინების გამოყენება აკრძალულია;

– დასაშვებია წყალში და ცხიმში სსნადი სსნთეზური ვიტამინების გამოყენება ვეტერინარის დანიშნულებით;

– აკრძალულია ზრდის, პროდუქტიულობის სტიმულირების ან ბუნებრივი ზრდის შეზღუდვისათვის სინთეზური სტიმულატორების, ნივთიერებების გამოყენება.

**ნერ ნაკაშირი, დარჩევან ჯაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

## რეალიზაცია

# აწყურის ბიო გაურიცხა და ეკო კრიდუებით დაინტერესებული ტურისტები

აწყურში შვილი ცლის ნინ ჩამოყალიბებული პიორ გაურიცხა მუშაობას წარმატებით აგრძელდება. ფერების მოზღვის გათავისები აგრძელდება და აგრძელდება სასახლეების გადასაცემი. მაგრამ ასეთი გაურიცხა მუშაობა არ არის მართვის გარეშე არა არარეკომენდებულია. რაც შეეხება ფიტოთერაპიასა და შინაური საშუალებების გა-



ბიო მეურნეობა „ბარბალე“, რომელიც 2015 წელს, ახალციხის სოფელ ანეურში შეიქმნა, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციით თბილისი სუპერმარკეტებს აქტიურად ამარავებდა. 2021 წლიდან მეურნეობის რებორნდინგი მოხდა და ახალი სახელწოდებით „აწყური აგრო“ შვილის, გაგამუმღადის დაწყებული საქმე ასმათ მახათაძემ გააგრძელა.

„2015 წლის შემდეგ მეურნეობას ბევრი სირთულე და გამოწვევა ჰქონდა, თუმცა 2021 წლიდან განსხვავებული, რებორნდირებული სახელით კვლავ გავაგრძელეთ საქმიანობა. ამჟერად ჩვენი მეურნეობის სახელწოდებაა „აწყური აგრო“, – ამბობს ფერმერი ასმათი მახათაძე.

ის, რომ ბიო პროდუქციის მოყვანა ბევრად უფრო შრომატევადი და რთული საქმეა, ვიდრე მასობრივი სოფლის მეურნეობა ფერმერებს არ აშინებთ. შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების თავიდან არიდების მიზნით, საქმაოდ დიდი ფიზიკური შრომაა საჭირო, თუმცა ფერმერები ჯანმრთელობას პირველ ეტაპზე აყენებენ და ამბობენ, რომ ამისათვის მეტი შრომა ნამდვილად ლირს.

ამჟამად მეურნეობა „აწყური აგროში“ ოჯახის ორი წევრია ჩართული.

„საკმაოდ რთული საქმეა, ვინაიდან ერთი ოჯახისთვის შეუძლებელი იყო ამ ყველაფრის ორგანიზება, გავერთიანდით რამდენიმე ოჯახთან ახალციხის მუნიციპალიტეტში, ერთად ვა-

ხორციელებთ პროდუქციის მოყვანას და რეალიზაციას. ახლა გეყავს რამდენიმე ფერმერი, ვისაც ორგანული მეთოდებით ჩვენთვის მოპყავს კარტიფილი, ხახვი, სტაფილო, ნიორი და სეზონური ბოსტნეულის, რომელსაც ჩვენ ვყიდით. მესხეთი ყველთვის იყო საკუეთესო ადგილი ბოსტნეულის მოსაყვანად თავისი კლიმატური პირობებისა და ნიადაგების გამო“.

იმის გამო, რომ შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებს არ იყენებენ, მეურნეობაში ძირითადად ყველაფრის კეთება ხელითა და აგრეგატებით უხდებათ. საკუთარი ძალებით შეიძინეს მცირე ზომის მოტობლოკი, ბენზო-ცელი, ბენზო-თოხი და სხვა. „ყველაფრი საბოლოოდ ფასეულობებთანაა კავშირში. მთავარი კითხ-



ვაა, – მეტი შემოსავალი გირჩევნია თუ ჯანმრთელი და ბედნიერი მომხმარებელი? ორგანული მეთოდები ამას მარტივად სცემს ჰასუსს, – ამბობს ფერმერი.

მოწეული პროდუქცია საკმაოდ გასავლიანია თბილისში. სოციალური ქსელის დახმარებით დედაქალაქიდან ხშირად აქვთ შეკვეთა სხვადასხვა პროდუქტზე, როგორიცაა: კარტოფილი, ჰომიდორი, ლობიო, ბადრიჯანი, წიწაკა, ნიორი და სხვა.

„მხოლოდ თბილისში ვყიდით, ამჯერად რამდენიმე მაღაზიას ვამარაგებთ. რეგიონში ორგანულ პროდუქციას პრაქტიკულად არ აქვს ბაზარი, თბილისში კი მოთხოვნა საკმაოდ მაღალია“.

კითხვაზე, რამდენად ძვირი უჯდება მომხმარებელს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეძენა, მეურნეობაში გვპასუხობენ, – გააჩნია პროდუქციას: „ზოგი ბოსტნეული ფასში მცირედით განსხვავდება მაგალითად პესტიციდით მოყვანილი პროდუქტისგან, ზოგის ფასი მოყვანის სირთულიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალია“.

ასმათი მახათაძე ამბობს, რომ პროდუქტის თბილისამდე ჩატანა მათვის სირთულეს არ წარმოადგენს და შეკვეთისთვის საკუთარი ტრანსპორტით სარგებლობენ.

ფერმერები ცდილობენ საოჯახო მეურნეობაში განსხვავებული, არასტანდარტული ჯიშის ბოსტნეულიც მოიყვანონ. მაგალითად, ისინი იყვნენ სამცხე-ჯავახეთში პირველები, რომლებმაც იასამინისფერი კარტოფილი მოიყვანეს და მის მოყვანა რეალიზაციას უკვე 4 წელია აგრძელებენ. ამბობენ, რომ საკმაოდ მოთხოვნადი და კარგი სახეობაა.

2015 წელს, როცა ასმათი მახათაძის შვილმა გაგა მუმლაძემ და მისმა მეგობარმა ქეთი დიდმანიძემ „ანური აგროს“ წინარე მეურნეობა „ბარბალე“ შექმნეს. მათ პროდუქციის მოყვანადაბინავებაში აქტიურად ეხმარებოდნენ უცხოელი ტურისტები. როგორც

გავა მუმლაძე ამბობს, ეს საქმე ტურისტებისთვის საკმაოდ საინტერესო იყო. თუმცა ბოლო წლებში, პანდემიიდან გამომდინარე, ტურისტებმაც იქლეს და გარკვეული პრობლემების გამო „ბარბალემაც“ წარმოება შეჩერა.

„ძალიან დიდი ინტერესით ერთვებიან საქმიანობებში ტურისტები და რაც მნიშვნელოვანია, სრულიად უანგაროდ. მოხალისეობის დიდი კულტურაა დასავლეთის ქვეყნებში, რაც იმედია, ჩვენ ქვეყანაშიც დამკვიდრდება და გააქტიურდება.“

2021 წელს, სამწუხაროდ, არ გვქონია შესაძლებლობა ტურისტებისთვის გვემასპინძლა, ჩვენი წინა მეურნეობა „ბარბალეს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. სწორედ ამიტომ შეჩერდა მისი საქმიანობა, თუმცა აუცილებლად განახლდება“, – ამბობს ფერმერი გაგა მუმლაძე.

სწორედ ტურისტულ წარმოებაზე გადის ფერმერების სამომავლო გეგმებიც.

„გვაქვს ეკოტურისტული გეგმები, რაც პანდემიის დასრულების შემდეგ უფრო რეალისტური გახდება. ანურში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები ციხეზე და ტაძარზე დამატებით შესაძლებლებებს გააჩენს“, – ამბობს ასმათი მახათაძე და აღნიშნავს, რომ ტურისტების დაინტერესებასა და ჩართვას კვლავ საკუთარ ვაჟათან, გაგა მუმლაძესთან ერთად აპირებს.

**თავი ვალი გვალი, ანური 2022**

## პროცესიონალის აზრი

# მეცნიერებელი, ზოგიერთი, ზოგიერთი საგენსა და მოვლენებს დავარევათ თავისი სახელი

ჩველა ჩვეთაგან, არაპლიკულად ყოველდღიურად, შეხება გვაძვს ცხოველური ცარალობების სურსათთან, რომლის გარეშე სულრი ძართული, ცარალუდგენებია. აგასთან, მივიღოთხვით რა განუმორჩეოდები. სინაზის, გემოსა და არომატის ხორცი, რძეს, კვერცხსა და გათ პროდუქტებს, ვიღებთ რა ამით განუსაზღვრო სიმოვნებას, არცი დავიტრად გულვართ საიდან და ვისი ცხალობით მოხვდა ის ჩვენ სულრაზე.

შეგახსენებთ, რომ გადამტეშვებელი მრეწველობისა და სამომხმარებლო ბაზრისთვის რძის, ხორცისა და კვერცხის, მსუბუქი მრეწველობისთვის კი მატყლის, ტყავნედლეულის, მაჟდაკის, კრაველის და სხვ. ძვირფასი ნედლეულის მიმწოდებული არის მეცხოველობის საწარმოები. ამდე-

ნად, იმ განუმეორებლად აღმატებულ შეგრძნებაში, რასაც ჩვენ ვლებულობთ ცხოველური წარმომობის სურსათისგან, ან კიდევ ცხოველური ნედლეულისგან დამზადებული სამოსის თუ ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან, ლომის წილი ეკუთვნის ცხოველთა მომშენებლებს, რო-

მელთა ცოდნა-უნარებისა და მთელი წლის მანძილზე მუხლჩაუხელი შრომის ფასი არის ჩადებული მათში.

ეკონომიკური საქმიანობის ამ მიმართულებაზე (სფეროზე) ცოდნას/სწავლებას, ფრანგმა მკვლევარმა უორჯ ბოდემანმა 1848 წელს უწოდა „ზოოტექნია“; ტერმინი წარმოებულია ბერძნული ორი სიტყვისგან: „ζῆν“ (ზოო, რაც ნიშნავს ცხოველს, ცოცხალ არსებას) და „τέχνη“ (ტექნია, ხელოვნება, ოსტატორი) განმარტავდა ასე: „ცხოველებთან მუშაობის ოსტატობა, ხელოვნება“.

ცხოველებზე ზრუნვის, გამრავ-ლების, საკვები პროდუქტების მისა-დებად და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების ელემენტებზე ცოდნა სათავეს იღებს ადამიანის მიერ პრე-ისტორიული ხანიდან, მათი ვარეული წინაპრების შემოჩვევა-მოშინაურების დაწყების დღიდან. საუკუნეების მანძილზე ამ სფეროში საქმიანობისას ადამიანი შეიცნობდა რა კონკრეტული სახეობის ცხოველის ზნეს, სხვა ბი-ოლოგიურ თავისებურებებს, აგრეთვე სურსათის მიღების და/ან სამუშაოდ გამოყენების შესაძლებლობებს, ცდი-ლობდა მოემრავლებინა, მოეშენებინა ისინი, უკეთესი შთამომავლობა მიე-ღო მათგან, რის მისაღწევად კი უქმ-ნიდა მათ შესაბამის პირობებს.

თავის მხრივ, ყოველდღიური დაკ-ვირვებითა და გამოცდილებით მი-ღებული ცოდნა ზეპირსიტყვიერად, მოგვიანებით კი ნერილობითაც გა-დაცემოდა თაობებს. ცნობილია, რომ თავისი დროისთვის ასეთი ცოდ-ნა-გამოცდილების მქონე პრაქტიკო-სები საქმიანობდნენ პრეისტორიულ ხანაშიც, მათ შორის ძველ ეგვიპტე-მი, ელადაში, რომში და სხვ. შედეგად, ცხოველთა მოშენების, მოვლა-შენახ-ვის, კვების, სათანადო წვრთვისა და სხვ. ტექნიკის ცოდნამ შესაძლებელი გახადა სულ რაღაც 2 ათეული მოშინა-ურებული სახეობიდან ე.ნ. „ხალხური სელექციით“ გამოყვანათ როგორც ვიზუალურად, ასევე სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებებით ერთმანე-თისაგან განსხვავდებული რამოდენიმე ათასი ჯიში. აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსჩინო მაგალითია არაბული ცხენი, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხ-ვამდე გამოიყვანეს კაცობრიობის ის-ტორიაში ნაკლებად ცნობილმა მოხე-ტიალე ტომებმა, ბედუინებმა.

მაგალითების საძებნელად შორს ნასვლა არ იყო საჭირო; დღეს აგრა-რულ თემაზე მომუშავე ავტორიტეტული მეცნიერების მიერ ალიარებულია, რომ პლანეტაზე საქართველოს გარდა არ არის სხვა ქვეყანა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოყვანათ ცხოველების, ფრინვე-ლების და სასარგებლო მწერების ორ ათეულზე მეტი ჯიში, რომლებიც ხა-სიათდებან უნიკალური სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებებითა და მათ უმეტესობას ანალოგი არ გააჩნიათ.

ცხოველისადმი სიყვარული და პა-ტივისცემა ოდითგანვე დამკვიდრ-

და ქართველთა ცნობიერებაში, ხო-ლო შემოქმედებითმა აზროვნებამ და მუხლჩაუხრელმა შრომამ თავისი ასახვა პპოვა „უსახელო სელექციო-ნერების“ მიერ გამოყვანილ ჯიშებში და პოპულაციებში: ქართული მთის ძროხა, კახური და სვანური ღორი, კავკასიური კამერი, თუშური და იმე-რული ცხვარი, მეგრული თხა, თუშუ-რი და მეგრული ცხენი, ქათმის, ბა-ტის, იხვის ჯიშები და პოპულაციები, კავკასიური მთის რუხი ფუტკარი და სხვ.; მოგვიანებით კი, ცნობილმა მე-ჯოგებმა, უძველესი ქართული მთის ჯიშის ძროხიდან გამოიყვანეს, ასევე, უნიკალური სამეურნეო და ბიოლო-გიური თვისებების მქონე მეგრული წითელი ჯიში.

რაც შეეხება ისტორიული განვი-თარების პერიოდში ცხოველთა მო-შენებასა და კვება-მოვლა-შენახვაზე თანდათანობით დაგროვილ გამოც-დილებას, გვიანი შუა საუკუნეებისთ-

ნია“. საგულისხმოა, რომ ეს ტერმინი მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრდა პრაქტიკულად უცვლელად (Zootechnik – გერმ.; Zootecnica – ესპ.; Zootechnie – ფრანგ.; იტალ.; Зоотехния – რუს.). და სხვ.) და დღესაც გამოიყენება პო-ლიტიკური თუ ეკონომიკური ანალი-ზის მასალებში, კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებ-ში; ანალოგიურს შეხვდებით მეცნიე-რული კვლევის შედეგების, თუ პრაქ-ტიკული გამოცდილების გაზარები-სადმი მიძღვნილ პუბლიკაციებშიც.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, ტერ-მინი „Zootechnics“, „Zoo technician“ სპეციალურ ლიტერატურაში გა-ცილებით იშვიათად, თითქმის არ გვხვდება და მის ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება Animal Husbandry (მეცხოველეობა).

ამასთან, სამედიცინო ტერმინების ინგლისურნოვანი ენციკლოპედია<sup>1</sup> ტერმინთან დაკავშირებულ რამოდე-



ვის, მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა ცოდნის საკმაოდ მწყობრი სისტემა, რომლის პრაქტიკაში დამკვიდრება ევროპის კონტინენტზე დაიწყო კაპი-ტალიზმის განვითარების კვალობა-ზე. ეს პროცესი განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობდა XVIII-XIX საუკუნეებში, ბრიტანეთში, რობერტ ბეკველის და მისი მონაფების, ძმე-ბი რობერტ და ჩარლზ კოლონგების მოღვანეობისას. მათ მიერ მიღწეული წარმატებების გამო ამ პერიოდს სამართლიანად ეწოდა „ევროპის მეცხოველეობის ოქროს ხანა“!

როგორც ავლინიშნე, სწორედ ამ პე-რიოდში შემოვიდა ხმარებაში მეცნი-ერების/ სწავლების ამ სფეროს აღმ-ნიშვნელი სახელი, ტერმინი „ზოოტექ-

ნიმე ვარიანტზე იძლევა განმარტებას, მათ შორის:

1. Medical Definition of zootechnician: a specialist in zootechnics / ზოო-ტექნიკის სპეციალისტი;

2. ... of zootechnics - the scientific art of maintaining and improving animals under domestication that includes breeding, genetics, nutrition, and housing: the technology of animal husbandry / შინაგანი ცხოველების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მეცნიერება, ხე-ლოვნება, რომელიც მოიცავს მოშენებას, გენეტიკას, კვებასა და შენახვას: მეცხოველეობის ტექნიკოლოგია;

3. .... of zootechnical - : of or relating to zootechnics / ზოოტექნიკასთან დაკავშირებული; zootechny (re-directed from zootechnician) / ზოოტექნიკა (წარმოებულია „ზოოტექნიკოსი“-

1. <https://www.merriam-webster.com/medical/zootecnici>



სგან) – ცხოველების მოშინაურება, მოშენება და გაუმჯობესება;

მეცხოველეობის ტექნოლოგია.

რაც შეეხება თავისუფალ ენციკლოპედიას, აქ ვხვდებით ამ ტერმინის სხვადასხვა ლექსიკონებში შესულ განმარტებებს, რომლებშიც ერთი საერთო დედააზრია გატარებული: „ცხოველების მოშენება და გაუმჯობესება; მეცხოველეობის ტექნოლოგია“...;

სხვა ინგლისურენოვან ლექსიკონებში და ამავე ენაზე გამოცემულ, მეცხოველეობის თემატიკასთან დაკავშირებულ შრომებში, ასევე, მრავლად გვხვდება ამ ტერმინის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების ვარიანტები; მაგ., „zootechnical certificate“, „zootechnical check“, „zootechnical faculty“, „zootechnics field“, „zoo-technology“ და ა.შ.<sup>2</sup>

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დიდ პრიტანეთის, აშშ-სა და ავსტრალიის ამ სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებსა და სხვა გამოცემებში სპეციალობა „ზოოტექნიკოსი“-ს ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი ბრეედერ (one engaged in the breeding of a specified organism = მომშენებელი, ანუ პირი, რომელიც ეწევა ცოცხალი ორგანიზმების მოშენებას), ხოლო მეცხოველეობის ქვედარგების/ სპეციალიზაციის მიხედვით ხდება დაკონკრეტება. მაგ.: მეძროხეობაში: stockbreeder, cattleman, herdsman, cattle breeder; მეღორეობაში: pig breeder, pig farmer; მეცხვარეობაში: ship breeder, squatter, sheepman, მეფრინველეობაში: aviculturist, aviculturist და სხვ.

სავარაუდოდ, ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის აგრარული სფეროს სპეციალისტებიც კი აღნიშნავენ, რომ, თით-

ქოსდა საერთაშორისო პრაქტიკაში ტერმინი „ზოოტექნიკი“ და „ზოოტექნიკოსი“ ამოვარდა ხმარებიდან. ეს მოსაზრება, რჩილად რომ ვთქვათ, საფუძველშივე მცდარია.

ასე, მაგალითად:

1. ევროკომისიაში ფუნქციონირებს „მუდმივ(მოქმედი) ზოოტექნიკური კომიტეტი“ (Standing Committee on Zootechnics - SCZ; Comitology register code: C20500), ხოლო მათ მიერ შედგენილ და ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებულ რეგულაციებსა თუ სხვა მასალებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ტერმინები: „ზოოტექნიკი“ და „ზოოტექნიკოსი“, „ზოოტექნიკური სერტიფიკატი“, „ზოოტექნიკური ანალიზი“ და სხვ., რაც მიუთითებს ამ სპეციალობისა და პროფესიის აღიარებაზე;

2. ევროგაერთიანების პრაქტიკულად ყველა ქვეყნის აგრარული მიმართულების უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში შეგხვდებათ სასწავლო პროგრამები სახელით „ზოოტექნიკი“. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზეც;

3. სახელით „ზოოტექნიკი“ ათასობით ტირაჟით გამოდის სამეცნიერო ჟურნალები და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო შრომათა კრებულები, ხოლო აგრარული მიმართულების სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, როგორც წესი, შეუცვლელად გვხვდება ამ დასახელების რუბრიკა.

თანამედროვე გაგებით „ზოოტექნიკი“ არის გამოყენებითი ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომლის კვლევისა და ზრუნვის საგანისა სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების მოშენებისა თუ პროდუქტების წარ-

მოების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების დამუშავება; აქ შედის: ცხოველთა კვების, მოვლა-შენახვის, გამრავლების, ჯიშობრივი და ხარისხის კონტროლი გაუმჯობესების, ნახირის/კოლტის/ფარის/რემას/გუნდის ორგანიზაციის საკითხები. არ გამოვრიცხავ, რომ ჩამონათვალში გამომრჩა დარგში საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი; მათზე, დამატებითი განმარტებისთვის, ასპარეზს ვუთმობ საქმისადმი თავგადადებულ ჩემ ძირითას მეცნიერებასა და კოლეგებს – ზოოტექნიკოსებს, აგროტეკნიკოსებს და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი პროდუქციის მიწოდებაზე დღენიადაგ მზრუნველ მათ უანგარო თანამებრძოლებს, ექიმ-ვეტერინარებს.

რაც შეეხება პროფესიას „ზოოტექნიკოსი“, გასული საუკუნის 70-იანი წლების პოლომდე, ყოფილ სსრ კავშირში, ეს კვალიფიკაცია (უფრო სწორად, „სწავლული ზოოტექნიკოსი“) მიენიჭებოდა პირს, რომელმაც დაძლია უმაღლესი სკოლის შესაბამისი სასწავლო პროგრამის სრული კურსი, სახელმწიფო სააგესტაციო კომისიის წინაშე გამოცდებზე და/ან სადიპლომონირომის დაცვით დამტკიცა თავისი ცოდნა და მზაობა უკვე წარმოებაში, პრაქტიკულად გაუძლვეს ამ სფეროს.

მოგვიანებით, როდესაც დარგის ინდუსტრიალიზაციის კვალობაზე, ზოოტექნიკოსის მრავალნახანგოვან საქმიანობაში წინა პლანზე გამოვიდა ნარმოების ტექნიკურ-ტექნიკოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები, ყოფილი სსრკ უმაღლესი სასწავლებლების ერთიან სასწავლო გეგმაში შესაბამისი პროგრამული ცვლილებების შეტანასთან ერთად გადაწყდა კურსდამთავრებულის პროფესია/კვალიფიკაცია გამოხატულიყო ტერმინით „ზოონუნიერი“. აქვე ავღნიშნავ, რომ ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული საზღვარგარეთის უმაღლესი სკოლის მესვეურებისა თუ მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

სავარაუდოდ, ტერმინი „ზოოტექნიკის“ ხმარებიდან ამოღების შესახებ გავრცელებული მოსაზრება გახდა იმის მიზეზი, რომ 2019 წელს დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკაციი“-ს<sup>1</sup> მე-2 დანართში;

დავიწყებ იმით, რომ მუხლი 3-ის „სწავლის სფეროები“-ს ზოგადად სოფლის მეურნეობისადმი მიძღვნილი 08 განაკვეთის ფართო სფეროში განიხილება მიმართულებები: „სოფლის

1. <https://www.thefreedictionary.com/zootecnician>  
2. <https://glosbe.com/en/en/zootecnician>

მეურნეობა“, „მეტყვეობა“, „მეთევზეობა“, „ვეტერინარია“, ვიწრო სფერო კი, თავის მხრივ დაყოფილია ანალოგიურად: 081 სოფლის მეურნეობა, 082 მეტყვეობა, 083 მეთევზეობა, 084 ვეტერინარია და დამატებით 088 ინტერდისციპლინარული, რომელიც დეტალურ სფეროში განმარტებულია: „მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყვეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას“. ამდენად, „ვიწრო სფერო“ში საერთოდ იგნორირებულია აგრარული სექტორის ორი ძირითადი დარგიდან ერთ-ერთი, მეცხოველეობა;

რაც შეეხება ამ დოკუმენტის განაკვეთს „დეტალური სფერო“-ს სატიტულე ნაწილს, აქაც აგრარული მეურნეობის ორი დარგიდან ნახსენებია ორივე („0811 მეტენარეობა და მეცხოველობა“), მაგრამ („ჩაშლისას“) მის პირველ სვეტში ეს უკანასკნელი არ არის შეტანილი. რაც შეეხება მეორე სვეტს, მინიშნებულია „0811.2.3 მეცხოველეობა Animal Husbandry“, ხოლო მესამე სვეტში დარგის, „მეცხოველეობა“ სპეციალიზაციები საერთოდ „გაქარა“, მითითებულია მხოლოდ „0811.3.3 სოფლის მეურნეობა Agriculture“ აგრეთვე „0811.3.4 მეფუტკრეობა ხეეკეპინგ“ და „0811.3.7 ცხენის მოვლა Horse-Breeding“). უნდა აინიშნოს, რომ ეს ეს ორი უკანასკნელი 0811.3.4 და 0811.3.7 დისციპლინა, თავის დროზე შეტანილი იყო და დღესაც ფიგურირებს „მეცხოველეობა“ (ზოოტექნიკური) სპეციალობის ერთიან სასწავლო პროგრამაში.

ანალოგიურ ხარვეზს ვაწყდებით შრომის საერთაშორისო ბიუროს (ILO) მიერ შემუშავებული „პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციი“-ს ქართულ თარგმანში<sup>2</sup>.

ამ დოკუმენტებისგან განსხვავებით, 2010 წელს მიღებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტი“-ში<sup>3</sup> მიმართულება: „01. აგრარული მეცნიერებანი“, დაყოფილია სამსპეციალობად (აგრონომია, ვეტერინარია და მეცხოველეობა), ხოლო განაკვეთში „პროფესიების სპეციალიზაცია“, სხვებთან ერთად ფიგურირებს „010352 ზოოტექნიკოსი (მეცხნეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.“). ანალოგიურ მიღებომას ვხვდებით საქართველოს მთავრობის დადგენილებაში

(2013 წლის 19 სექტემბერი, №244)<sup>4</sup> და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში.

გაკეთებული ანალიზი მაძლევს საფუძველს ეჭვი გამოვთქვა, რომ „კლასიფიკაციონში“ დარგზე ინფორმაციის არარსებობა ხომ არ არის იმის მიზანი, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარების მსურველ აბითურიენტთა შორის მკვეთრად შემცირდა „მეცხოველეობის“ სპეციალობაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა?!?

რაც შეეხება ტერმინს „ზოოტექნია“. აქ ვერ მივიღებ მოსაზრებას, რომ მისი ჩანაცვლება ტერმინით „მეცხოველეობა“ გამართლებულია ქართული ენის სიწმინდის დაცვის მოტივით, რადგან, დამტკიცებულ (2019 წ.) „...კლასიფიკატორში“ მრავალდაა (და სავსებით სწორად) საერ-



თაშორისოდ აღიარებული ტერმინები: „აგრონომია“, „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, „აგრობიზოტექნილოგია“, „ჰიდრომელიორაცია“ და სხვ.

ნინამდებარე სტატიაზე მუშაობის დაწყების მიზანი და მოტივი არ იყო ტერმინი „ზოოტექნიის“, ან „ეროვნული კვალიფიკიების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“-ში „ზოოტექნიკოსის“ კვალიფიკიციის აღდგენისადმი მოწოდება (თუმცა, რატომაც არა?). საქმეისარის, რომ ასეთი არასწორი, არათანმიმდევრული მიდგომის წყალობით, დღეს, რბილად რომ ვთქვათ, ბევრ სხვა, უფრო დიდ უცნაურობასთან გვაქვს საქმე; ყურადღებას გავამახვილებ ორ მათგანზე:

**პირველი:** ჩვენ დღევანდელობაში, მათ შორის იფიციალურ დოკუმენ-

ტებშიც, საკმაოდ ხშირად გაწყდებით „ზოოტექნიკოსის“ და „ექიმი-ვეტერინარის“ საქმიანობის სფეროებისა და პროფესიული მოვალეობების აღრევას, უფრო სწორად, მეცხოველეობის ყველა საჭიროოროტო საკითხის, მათ შორის ცერმინის მართვის, ცხოველთა მოშენება-კება-მოვლა-შენახვის, აგრეთვე ცხოველური პროდუქტების წარმოებისა და პირველადი დამუშავების მოვალეობების ვეტერინარ-ექიმზე „გადამისამართებას“, მე ვიტყოდი, „გადაბრალებას“.

საკითხის გარკვევის მიზნით, აქ მიზანშენილია მოკლედ ჩამოვთვალო თუ რა პროფესიული მოვალეობა არის დაკისრებული მეცხოველეობის საწარმოს ზოოტექნიკოსზე; პირობითად, მე ისინი დავყავი 4 ჯგუფად:

- ცხოველთა მიზანმიმართულად

მოშენება და ხარისხობრივი გაუმჯობესება,

- სხვადასხვა სახის საკვებზე ფერმის მოთხოვნილების განსაზღვრა და შესაბამისი ნორმების დაცვით ცხოველთა სწორად კვების უზრუნველყოფა,

- ცხოველებისთვის მოვლა-შენახვის ოპტიმალური პირობების შექმნა და

- ცხოველური პროდუქტების ეფექტურად წარმოება და პირველადი დამუშავება.

ამდენად, ზოოტექნიკოსის მოვალეობები მოიცავს როგორც ვიწრო პროფესიულ, ასევე ფერმის მართვისა და ორგანიზაციული საქმიანობის (ე.წ. „მენეჯერის“) ფუნქციების შესრულებასაც. ამას კი სათანადო ცოდნა და უნარები სტარტება, რასაც მომავალი ზოოტექნიკოსები იძენდნენ სწავლებისას ზოგადი და კერძო ზოოტექნიის საგნების ათვისებით. მათ შორისაა: ცხოველთა გენეტიკა, მომშენებლობა, საკვებარმოება და კვება, სადგომები დაპროექტების

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4480034?publication=0>

2. <https://ege.ge/res/docs/ISCO-08-Final-final.pdf> (პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციონი. სტანდარტული, კვალიფიკაციების განსაზღვრებები და შესაბამისობის ცხრილები; ISCO-0808, I გამოცემა)

3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0>

4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2021412?publication=0>



საფუძვლები, ზოოპიგიენა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბუღალტერია, აგრეთვე მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეცხენეობა და ა.შ.

რაც შეეხება ექიმი-ვეტერინარის (ლათ. Veterinarius – „ცხოველების მეურნალი“) ფუნქცია-მოვალეობებს, აქ გამოვიყენებ ასეთ ფრთიან ფრაზას: „ექიმი მეურნალობა ადა-მიანს, ვეტერინარი-ექიმი კი კაცობრიობას“; ხოლო მათი პროფესიული მოვალეობების ჩამოთვლისგან თავს შევიგავებს; საჭიროებისას, ამაზე თავად ჩემი ძევირფასი მეგობრები გააკეთებენ განმარტებას.

შევთანხმდეთ, რომ ვეტერინარული მედიცინა და ზოოტექნია ემსახურებიან ერთ საქმეს და, ერთი შეხედვით, ჰგვანან ერთმანეთს. ამასთან, კითხვაზე, არის თუ არა განსხვავება ამ ორ პროფესიას შორის, ყველა სერიოზული წყაროდან მიიღებთ ერთსახოვან პასუხს: დიახ, მათ შორის განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია. განმარტებულია, რომ ექიმ-ვეტერინარი გაცილებით უფრო ხშირად არის ცხოველთან შეხებაში, ხოლო ზოოტექნიკოსის მოვალეობაა კვება-მოვლა-შენახვის პირობების უზრუნველყოფით პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, აგრეთვე ნარმოების სწორად დაგეგმვა-მართვა და კონკურენტუნარიანი, უვნებელი პროდუქციის წარმოება.

დაბოლოს, ხატოვნად რომ გამოვთქვათ, ზოოტექნია და ვეტერინარია, ეს არის ერთი მედიცინი ორი მხარე, ხოლო ზოოტექნიკოსებსა და ვეტე-

რინარებს მე ვუწოდებდი ერთ ულელში შებმულ დევგ-მირებს, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და წლის მანძილზე ყოველდღიურად 24 საათიანი მუხლისაურელი შრომით თანაბრად სწევენ მეტად საპატიო და მძიმე ჭაპანს, უზრუნველყოფენ რა ამით კაცობრიობას ხარისხიანი და უვნებელი პროდუქციით.

**და მეორე;** უკვე ორ ათეულ წელზე

მეტია, რაც აუდიო-ვიდეო გადაცემებსა და ბეჭვდით პრესაში, აგრეთვე ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო პროგრამებში, შედგენილ ანგარიშებსა თუ რეკომენდაციებში, პრაქტიკულად ყველგან, ტერმინების „ზოოტექნია“ ან/და „მეცხოველობა“ ნაცვლად გამოიყენება „მესაქონლეობა“.

აქ არ შევუდგები, ზოგადად, ქართულ წერილობით წყაროებსა თუ ხალხურ მეტყველებაში ამ ტერმინის ნარმობობის დეტალების განსჯას; ეს არ არის ნინამდებარე სტატიის განხილვის საგანი და ამას ჩემი, პროფესიით ზოოტექნიკოსის ცოდნა არ ეყოფა. მაგრამ, ასევე არ მივიღებ განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ სიტყვის/ტერმინის „საქონელი“-ს ფუძე... „ქონა“ მიუთითებს ცხოველის ფლობაზე.

ჩემი ძვირფასებო, ქართველი ცოცხალზე არასოდეს იტყვის „მაქვს“, ის ამბობს „მყავს... მაგ. ცხენი, ძროხა, ცხვარი,... და ა.შ. ... „მყავს!!!; ამას უნდა მიენიროს ის, რომ ზემო იმერეთის და გურიის ბევრ სოფელში ცხოველებზე საუბრისას ერთსახოვნად ბრძანებენ „საყოლი, ან „საყოლელი“... რაც პირდაპირ მინიშნება იმაზე, რომ ცხოველი თუ ფრინველი, ცოცხალი არსება („მყავს ... „ყოლა“);

შესაძლოა აქ უადგილოა, მაგრამ თემასთან დაკავშირებით კიდევ ერთ სხვა დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას; ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრდა ტერმინი „მანქანა მყავს“, სავარაუდოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ის, მარ-

თალია მძლოლის დახმარებით, მაგრამ მოძრაობს/გადაადგილდება. აი კახეთში, განსაკუთრებით კი ქიზიყში, ჩემი თაობის პირებისგან არასოდეს მსმენია ეთქვათ „მანქანა მყავს“, ისინი, ამბობენ: „მანქანა მაქვს“ და, უფიქრობის სავსებით სწორად.

მეცხოველეობის ნაცვლად ტერმინი „მესაქონლეობის“ გამოიყენება მიულებელია იმიტომაც, რომ სიტყვა „საქონელი“ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გამოიყენება საკმაოდ არასასიამოვნო კონტექსტში, რასაც ნამდვილად არ იმსახურებენ ის სულ-დგმულები, რომლებიც არა მარტო გვაძლევენ სასურსათო პროდუქციას და ტექნიკურ ნედლეულს, არამედ ალამაზებენ ჩენენ ცხოვრებას, უფრო მოსიყვარულეს, ჰუმანურსა და მიმტევებელს ხდიან ადამიანებს.

**ამდენად:** კოლეგებო, განათლების თუ სხვა სფეროში მოღვაწე მეცობერებო, პატივცემულო აგრო ჟურნალის-ტებო, შევთანხმდეთ:

**– მეცხოველეობა** არის ზოგადი ტერმინი და მიუთითებს ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებაზე, დარგზე. თავის მხრივ ის მოიცავს ქვედარგებს, რომლებიც ინიდებიან ცხოველთა სახელებიდან ნაწარმოები ტერმინებით: მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.; თავის მხრივ, ამ დარღ(ები)ს გაძლოლის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს ამუშავებს მეცნიერება, რომელსაც ეწოდება ზოოტექნია, ანუ:

**– ზოოტექნია** არის მეცნიერება, რომელიც იყვალებს და ადგენს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხარისხობრივი გაუმჯობესებას და მათი პროდუქტების ეფექტურად ნაწმოების მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა საფუძველზე ამუშავებს ნოვაციების პრაქტიკაში დანერგვის რეკომენდაციებს, მეთოდურ მითითებებს და სხვ.-

**– ზოოტექნიკოსი** კი არის პროფესია, კვალიფიკაცია, სხვა სიტყვებით კი, თეორიული ცოდნით შეიძლება ბული პირი, რომელიც მოწოდებულია უშუალოდ პრაქტიკაში განახორციელოს ცხოველური პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობა და/ან უზრუნველყოს მათი შესრულება.

**ვიზუალურობა,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთომეული), თბილისი, ქავე, 1986.

# გაგუის დანატოვარ მამულური გაუცემული თხილის გაღი - „ჯიფონი“ სამიგრელოში

ჩეოროცხუს მუნიციპალიტეტის სოფელ ახუთში ჯაპა ვეპუამ „საბარ-თველოს განედის“ ფაზინაციაზით იტალიური ჯიშის თხილით ალანტაცია გაავენა.

თხილის ახალშენი პლანტაცია მეორე წელინადან ნაყოფის იძლევა და ძალას იკრებს, ნერგები კარგად ვითარდება, ფერმერიც იმედიანადაა, რომ თხილი კარგ მოგებას მისცემს.

როგორც ჯაპა ვეკუა ამბობს, მართალია თხილის წარმოება შრომატევადი საქმეა, თუმცა კმაყოფილია, რომ სწორედ თხილმა უბიძგა, არ მიეტოვებინა მამა-პაპისეული მინა.

ახუთში ბაბუის დანატოვარმა საკარმიდამი ნაკვეთში შეიქმნა მეურნეობა, რომელზეც ფერმერი დიდ იმედებს ამყარებს.

„სოფლის მეურნეობის განხრით არასდროს მიმუშავია, მაგრამ ჩხოროწყვეში ბაბუაჩემის დანატოვარ მინაზე, რომელიც თითქმის 20 წელინადი იყო მიტოვებული და ეკალ-ბარდს ჰქონდა გადავლილი, „საქართველოს ბაკის“ კრედიტით კარგი მეურნეობა გავმართე“.

„2015 წელს ჯაპამ შვიდ ჰექტარზე იტალიური ჯიშის თხილი, „ჯიფონი“ გავაშენე, თხილის ამ ჯიშს აქებდნენ, უხევმოსავლიანია, ხარისხიანი ნაყოფი აქვს... თხილის მოვლა, როგორც აღნიშნე შრომატევადი საქმეა, მითუმეტეს ისეთ რელიეფზე, როგორზეც ჩემი ბალია გაშენებული. დამრეც ფერდობზე უჭირს ტექნიკას მუშაობა და თითქმის ყველაფრის კეთება ხელით მიწევს. ხელით ვთიბავ, ვსხვლავ და ა.შ. ზოგჯერ დამხმარე მუშახელს ვქირაობ და ასე უფრო მიიოლდება საქმე“.

„ბალის მოვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ბევრი დაავადებაა გავრცელებული, ამას ემატება აზიური ფარისანა და თუ ტექნიკოლოგიური ნორმების დაცვით არ შეასრულეს სამუშაო, კარგი შედეგს ვერ მიიღებ. შარშან სამჯერ შევწამლე თხილის ბალი, ორნაირი სასუქი შევიტანე. ასეთივე ოპერაციები დასჭირდება მომავალ წელსაც“ – ამბობს ფერმერი.

როგორც ბატონი ჯაპა გვიხსნის, იტალიური ჯიშის თხილი საქართვე-

ლის კლიმატსა და პირობებს ადვილად შეეგუა. ნერგები კომპანია „ფერმოსგან“ შეიძინა, პლანტაცია უკვე მოძლიერებულია და ფერმერი მომავალ წლებში უხვ მოსავალს ელოდება. ფიქრობს, რომ რეალიზაციაც არ უნდა გაუჭირდება. თხილს ძირითადად ჩხოროწყვეში ადგილობრივ ბაზარზე აპარებს. ამბობს, რომ გაურჩეველი თხილის ფასი 4 ლარი და 10 თეთრია, რაც არც ისე მაღალი ფასია.

„მეორე წელინადია, რაც ბალიდან თხილის მოსავალს ვიღებ. წლებულს ერთი ტონა და 600 კილოგრამი დავკრიფე, რაც ახალშენი ბალისთვის ცუდი შედევი არ არის. გაისად გაცილებით უკეთესი მოსავალი მექნება.“

მეურნეობის განვითარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯაპა ვეკუამ „საქართველოს ბანკიდან“ აღებული სესხით შეძლო. ამბობს, რომ 40 000 ლარის კრედიტი აიღო და მთლიანად თხილს პლანტაციას მოახმარა. გაასუფთავა მიტოვებული ტერიტორია, იყიდა ნერგები და დარგო, უკვე გაშენებულ ბალში გამეტერებული ადგილები ახალი ნარგავებით შეავსო:

„საქართველოს ბანკიდან“ აღებულმა სესხმა დიდი შედავათი მომცა. სწორედ ამ ბანკის დამსახურელს ვქირაობ და ასე უფრო მიიოლდება საქმე“.

ბაა, რასაც აქ ხედავთ. რამდენიმე წლის წინათ აქ გაუვალი ბუჩქნარი და ეკალ-ბარდი იყო მოდებული. დღეს აქ, როგორც ხედავთ, უკვე მშვენიერი თხილის პლანტაციაა გაშენებული.

თხილის იტალიური ჯიში „ტონდა დი ჯიფონი“, რომლითაც ჯაპა ვეკუამ პლანტაცია გააშენა, ცნობილი ჯიშია, კარგად ეგუება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და უხვ მოსავალს იძლევა.

გამოცდილი ადგილობრივი ფერმერები ჯიშს დადებითად ახასიათებენ:

**მოსავლიანობა:** 1 ჰექტარზე 3.5 ტონა;

**გამოსავლიანობა:** 40-45%;

**ნაყოფის საშუალო წონა:** 1.2 გრ.;

**ზრდის სიძლიერე:** ძლიერი

**მოსავალი ერთ ძირზე:** 5-6 კგ.;

**კრეფის პერიოდი:** ივლისი-აგვისტო;

ნაყოფი საკმაოდ მსხვილი აქვს სქელი კანით. იოლად არ ავადდება, მაღალპროდუქტული, ხასიათდება ადრეული ნაყოფიერებით, მაგრამ გვიან მომწიფებით.

ამჟამად თხილის ეს ჯიში საქართველოში გავრცელებულია სამეგრელოსა და კახეთში.

**თავმ ფინანსობის მიზანი,**  
**სამეცნიერო, დეკომინირებული, 2021წ.**



## იურისტობიდან ფერმერისამდე

ქალაქ ზუგდიდიდან ორიოდ კილომეტრში, თვალწარმოებული და მრავალმხრივი გიზნესების და ფერმერის ელექტრული და მრავალმხრივი გიზნესების სახლ-კარი. ის თავის პირილმოწყობილ საკარმილა-მობი მისაღლივთან ერთად მისდევს მისაპონლეობას, გეორგობას, გეორგი-ვალეობას, გელვინეობას, აგრე მარცვის, ზოლის და მოცვის პლანტაციები.

ბატონი ელგუჯა 55 წლისაა. პროფესიით ინჟინერ-მშენებელი და იურისტია. უმუშავია ორივე პროფესიით, ბიზნესმენობა კი სამიოდე წლის წინათ დაიწყო:

„საშობაოდ შევიძინე ღორი, მაგრამ რატომლაც დაკვლას გადაურჩა. შემდეგ გამრავლდა და მივიყევი ხელი ლორების მოშენებას და ასე დაიწყო ჩემი ე.წ. ბიზნესმენობა“ – აცხადებს ელგუჯა ნანეიშვილი.

ამჟამად სპეციალურად მოწყობილ საღორებში 20 სული იორკშირის და დიურიკის ჯიშის, მათ შორის 13 სული ნეტვი ჰყავს ბაგურ კვებაზე დაყენებული.

– მარტყოფში 100-100 დოლარად შევიძინე 7 გოჭი, გავამრავლე, გავზიარდე. დღეს თითოეულის წონა 250-დან 300 კგ.-მდეა.

კვებავ ქერით, ხორბლით, სიმინდით. საღორე თანამედროვე სტილში მოვაწყე. ნახერხში ვურევ სპეციალურ ბიო-ბაქტერიას, ვყრი საღორეში, ყოველივე ეს ათბობს საღორეს და მიადგილებს მოვლა-პატრონობას“ – ყვება ბატონი ელგუჯა.

ფერმერი ძირითადად მუშაობს გოჭების მოშენებაზე, რადგან სწორედ გოჭებზე არის დიდი მოთხოვნილება, 250-300 ლარამდე ღირს ერთი გოჭი, თუმცა ხორცსაც 18-20 ლარად აბარებს.

მეღორეობის პარალელურად ფერმაში 9 სული სხვადასხვა ჯიშის ძროშაც ჰყავს.

– მექროხეობა ადგილობრივი ჯიშის ძროხით დავიწყე. შემდეგ კი ხელოვნური განაყოფიერებით მოვახდინე ჯიშების გადახალისება და დღეს ვყიდი როგორც ხორცის, ისე რქეს. ვაწარმოებ ხარისხიან პროდუქციას და რეალიზებაც არ მიჭირს, კლიენტები სახლში მაკითხავენ.

ძალიან დიდი მაღლობა მინდა გადაგუხადონ ბატონ რობერტ ჭურლულიას, რომ არა ის, არაფერი გამოვიდოდა, რადგან ყველაფერი მისგან ვისწავლე, ის არის ჩემი კონსულტანტი. ბატონ რობერტს ამ დარგში დიდი გამოცდილება გააჩნია“ – ამბობს ელგუჯა ნანეიშვილმა.

ფერმერს საოჯახო მეურნეობაში მოშენებული ჰყავს სხვადასხვა ჯიშის ქათმები. ლამაზად მოწყობილ საქათმებში ცოლ-ქმარი 100 ფრთამდე ქათამსაც უვლის და მომხმარებლებს ქათმის ხარისხიანი ხორცითა და კვერცხითაც ამარაგებს.

ბატონ ელგუჯას, როგორც უკვე აღვნიშნე, კენკროვანი კულტურების: მარწყვს და უოლოს მცირე პლანტაციებიც აქვს. ფერმერი კმაყოფილია, მარწყვმა გაუმართლა, უოლომ კი ცოტა იმედები გაუცრუა.

– „მარწყვი 120 გ<sup>2</sup> მაქვს გაშენებული, 1 ტონამდე მოსავალი მიგიღე, პლანტაცია უნდა გავაფართოვო და 300 გ<sup>2</sup>-მდე გავზიარდო.

უოლო კი 0,5 ჰა-ზე მაქვს გაშენებული, მინდა უკეთესი შედეგი მქონდეს, რადგან საქმაოდ მომგებიანი კულტურაა, ძვირი ღირს“ – მიხსნის ბატონი ელგუჯა.

ორიოდე წლის წინათ ელგუჯა ნანეიშვილმა საქუთარ კარმიდამოში 0,5 ჰა.-ზე ლურჯი მოცვის პლანტაციებიც გააშენა და არნახული შედეგიც მიიღო. ერთი წლის თავზე 2 ტონამდე მოსავალი მოიწინა და ახლა აპირებს მოცვის პლანტაცია 1,5 ჰა.-მდე გააფართოვოს.

რაც მთავარია ფერმერს ლურჯი მოცვის დასამუშავებლად და შესანახად საკუთარი სამაცივრე მეურნეობაც აქვს გამართული, როგორიც დიდი ხანი არ არის, რაც 25 000 ლარად შეიძინა. სწორედ ასეთი მაცივრის უქონლობას უჩივის აქაურ ფერმერთა უმეტესობა, რადგან უმატივოროდ მოსავალი უფუძლებათ.

ისეთი მრავალმხრივი ბიზნესმენი, ფერმერი, როგორიცაა ბატონი ელგუჯა, გვერდს ვერ აუვლიდა მელვინებისას. სპეციალურად მოწყობილ სარდაფში ყველა პირობაა შექმნილი ღვინის დასაყენებლად. „ყოველწლიურად კახეთში, კარდენაში წარავის რქანითელს ვყიდულობ, 12-13 ტონის ოდენობით, ასევე საფერავიც ჩამომაქსა, შესანიშნავი ღვინოები გამოდის, ყველას მოსწონს ჩემი დაყენებული ღვინო, მეც კმაყოფილი ვარ და მომხმარებელიც.“ – აცხადებს ელგუჯა ნანეიშვილი.

მართალიც არის, ღვინის დაჭაშნიკების შემდეგ დავრწმუნდი მისი ნათექვამის უტყუარობაში.

ელგუჯა ნანეიშვილი საოჯახო მეურნეობაში დილიდან საღამომდე ფუტკარივით შრომობს, პერიოდულად 10-მდე ადამიანსაც ასაქმებს.

– რომ არა მეუღლე, მისი თანადგომის გარეშე მარტო ვერაფერი გავხდებოდი. ერთმანეთის მხარდამხარ შრომით, ყველაფერი გამოგვდის.

ორი შვილი გვყავს, ოჯახს ვინახავთ, შემოსავალიც გვაქვს და შრომაც გვსიამოვნებს.

საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ადამიანია დაისაქმოს თავი, როგორც მე დავისაქმე, მაგრამ ბევრს მუშაობა ეზარება, ან ეთაკილება. ძროხის მწველავები ვერ ვიშოვე, 700-800 ლარს გადაუხდი თვეში, მაგრამ არ უნდათ, არ კადრულობენ.

შრომას ყოველთვის აქვს ფასი. შრომა სათაკილოა არ არის, სათაკილო სხვის წინაშე ხელგანვდილი ყოფნაა, – ამბობს ფერმერი.

**ლადი მირია,  
ზუგდიდი**



## „ინკასცირება უპერატორ და ხარისხის მისამართი“ (SQL)

№5 თებერვალი, 2022 წლი

### რეკორდიდან უპერატორ ხორცის გასაძლიერებელი

სრულფასოვანი კვება ადამიანის ჯანმრთელობის განმ-  
საზღვრული ერთ-ერთი ძირითადი გრადიენტია და ბალან-  
სირებული დღიური რაციონით მიღწევა. ბალანსირებული  
კვება კა თავის მხრივ გულისხმობს ძირითად საკვებ და ბი-  
ოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა – ცილების, ცხიმების,  
ნახშირნყლების, ვიტამინებისა და მინერალების სწორ და  
დასაბუთებულ შეფარდებათა განსაზღვრას ასაკის, სქესის,  
მრომითი საქმიანობისა და ცხოვრების რეჟიმის შესაბამისად.


რადგან ხორცი უხვად შეიცავს სრულფასოვან ცილებს,  
ცხიმებს და ზოგიერთ ვიტამინს, მისი კვებითი და ბიოლო-  
გიური ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია ბალან-  
სირებული კვებისათვის. ხორცში ცილის შემადგენლობა  
შედარებით სტაბილურია, ვიდრე ცხიმის, შესაბამისად,  
ხორცის კატეგორიებად დაყოფის ერთ-ერთი ძირითადი  
კრიტერიუმი სწორედ ცხიმიანობაა.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლო-  
ბის მიხედვით ხორცი მოიცავს შინაური მსხვილფეხა და  
წვრილფეხა პირუტყვისაგან, ღორის და კენტჩილიქიანების,  
ასევე, გარეული ცხოველებისაგან (რომელიც მოშენებუ-  
ლია ფერმაში, როგორც შინაური ცხოველი) მიღებულ ადა-  
მიანის საკვებად განკუთვნილ ცხოველის ნაწილებს.

ხორცის შეძენისას მთავარ რეკომენდაციად შესაძლოა  
ჩაითვალოს მოწოდება, რომ ხორცი აუცილებლად რეგის-  
ტრირებული ბიზნესოპერატორისგან უნდა იქნეს შეძენი-  
ლი, როგორიცაა აგრარული ბაზრები, სპეციალიზირებული  
ხორცის მაღაზიები, სუპერმარკეტები ან უშუალოდ სასაკ-  
ლაოები, ვინაიდნ საქართველოს კანონმდებლობის შესაბა-  
ძისად, ბიზნესოპერატორი არის პირი, რომლის საქმიანობა  
უკავშირდება სურსათის ცხოველის საკვების, ცხოველის,  
მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების,  
ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკა-  
ტის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას,  
დისტრიბუციას, აგრეთვე, ვეტერინარიისა და მცენარეთა  
დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხის-  
მგებელია თავისი საქმიანობა შეუსაბამოს საქართველოს  
კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასევე,  
ვალდებულია მისი საქმიანობის სახე დაარეგისტრიროს  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკუ-  
რ საქმიანობათა რეესტრში, რაც თავის მხრივ აღნიშნულ  
პირს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ აქცევს.

ინფორმაცია ობიექტის რეგისტრაციის შესახებ შესაძ-  
ლოა მიგილოთ ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის დამა-  
დასტურებელი ამონანერით (ამონანერი ეკონომიკურ საქ-  
მიანობათა რეესტრიდან), რომელიც ობიექტში თვალსაჩი-  
ნო ადგილზე უნდა იყოს განთავსებული და მითითებული  
იყოს საქმიანობის სახე – „ვაჭრობა ხორცით და ხორცის  
პროდუქტებით“.

თუ გსურთ მიღლოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ  
როგორ შეიძინოს უვნებელი ხორცი, ეწვიეთ ვებგვერდს  
[www.agronavti.ge](http://www.agronavti.ge) – საიდანაც, შესაძლებლობა გექნებათ



გადმოწეროთ SQL პროექტის ფარგლებში შექმნილი სა-  
ხელმძღვანელო.

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „ინვეს-  
ტირება უენებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL)  
ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land  
O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერ-  
მერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის  
შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტა-  
მენტის (USDA) დაფინანსებით.




მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზო ფასების დინამიკას 2022 წლის იანვრის თვის განმავლობაში, თბილისის და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოაწერისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.




**არაეტიკეტირებული ყველის** ფასი საგრძნობლად გაიზარდა საახალწლო დღესასწაულებზე, ხოლო

**არაეტიკეტირებული სულგუნის** ფასმა კი რამდენიმე კვირით გადაასწრო ეტიკეტირებული ყველის ფასს.




01 ნოემბერი / 2022

**იმერული ყველის** ფასთა შორის სხვაობა იანვარში შემცირდა, რაც გაძვირებული არაეტიკეტირებული ყველის ფასის მიერ არის გამოწვეული. ზუგდიდში კი არაეტიკეტირებული ყველის საშუალო ფასმა გადააჭარბა ეტიკეტირებული ყველის ფასს.




ყველის მსგავსად, **ეტიკეტირებული მანვნის** ფასმა საგრძნობლად დაიკლო საახალწლო დღესასწაულების შემდგომ.



ნედლი ხორცის წინა წლის

გაზრდილ ფასებთან შედარებით,  
იანვარში ფასები დასტაბილურდა.  
შემცირება განსაკუთრებით  
აისახა ხმოს რბილებზე.

- ხეოს რბილი
  - საქონლის პრტკლა
  - საქონლის ქვლიანი
  - საქონლის რბილი
  - ხეოს ქვლიანი




0263608 030 / 2022

არაეტიკეტირებული ყველისგან განსხვავებით  
ფასები **ნედლ რძეზე** მხოლოდ მცირედით  
შეიცვალა.


\* დაბალი ფასი გურიაში, შესაძლოა, გამოწვეული იყოს  
რესპონდენტების მცირე რაოდენობით.

1 ლ. ნედლი რძის საშუალო  
სარეალიზაციო ფასი  
რეგიონების მიხედვით




02537012 ടെലി / 2022

**საქონლის საკუებზე** ფასმა იანვარში ძირითადად მოიმატა, რაც ყველაზე საგრძნობლად **სიმინდსა** და ხორბალზე აისახა.





# ნოველები მოზარდებისათვის ცხოველთა დაავადებების გესახე




პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში, ახალგაზრდებში მესაქონლეობის სექტორის და მასთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით შედგენილია ახალი საინფორმაციო მასალა თემაზე – „ნოველები მოზარდებისათვის ცხოველთა დაავადების შესახებ“. ნოველები და მათი მხარტვრული გაფორმება შესრულებულია ვეტერინარი სტუდენტების მიერ და მოიცავს საქართველოს სოფლის მნიშვნელოვან ენდემურ (მათ შორის zoonozur) დაავადებებს: ბრუცელოზი, ცოფი, თურქული, ტუბერკულოზი, ნოდულარული დერმატიტი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება.

აღნიშნული სახელმძღვანელოს გადმოსაწერად და ნოველების წასაკითხად ენვიეთ ვებგვერდს [www.agronavti.ge](http://www.agronavti.ge)

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით.



# როგორ მოიყვანა ინოვაციური მეთოდით მესხმა ფერმერმა კარტოფილი

ვალელა ფერმერმა მათე ჩიტაშვილმა კარტოფილი ინოვაციური მეთოდით მოიყვანა. მას საჩუქრად ლაგორატორიაში გამოყვანილი ჩიტილები გადაეცა, როგორიცაც ფერმერმა უხვილეს მოისავალი მიიღო.



მათე ჩიტაშვილი წარმატებული ფერმერია. წელიწადის ყოველ სეზონზე იგი სოფლის მეურნეობაში აქტიურად არის ჩაბოლული. აქვს სამი სათბური და ღია გრუნტში დაახლოებით 3.5 ჰექტარს ამუშავებს. ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ბოსტნეული მოჰყავს და რეალიზაციას ახდენს.

სწორედ იმის გამო, რომ მათე ჩიტაშვილი აქტიური ფერმერია, ჩიტილები რომელიც ფერმერს გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალციხის ლაბორატორიაში გამოიყვანეს. ფერმერმა შესაბამისი ტრენინგებიც გაიარა და შემდეგ უკვე კარტოფილის მოჰყანის პროცესში დაიწყო.

„2020 წლის ივნისში გადმომცეს 210 ჩიტილი. შარშან უკვე ტუბერები დავთეს და ფაქტობრივად, კარგ მოსავალზეც გავედი. ზოგი ჩიტილი დაიკარგა, რადგან ყველამ ვერ გაიხარა. მთლიანობაში 20-30 ცალი გაფუჭდა, თუმცა 200 ჩიტილიდან ზუსტად 70 კილოგრამი კარტოფილი მივიღე, რაც ვფიქრობ, ძალიან კარგი შედეგია“, – ამბობს მათე ჩიტაშვილი.

ფერმერის თქმით, ასე მიღებული კარტოფილის ჯიში უხვმოსავლიანია და მას შეეძეგ რაც 70 კილოგრამი კარტოფილი მიწაში ჩაბორუნა, შემოდგომით 2 ტონა კარტოფილი მიიღო.

თუმცა უხვმოსავლიანობის გარდა, ჩიტილებით გამოყვანილ კარტოფილის უპირატესობა ისიც არის, რომ მას დაავადებები არ ხვდება და წამლობა თითქმის არ სჭირდება.

„არა მხოლოდ უხვმოსავლიანია, არამედ ბაქტერიებიდან ფაქტობრივად გათავისუფლებულია. ლაბორატორიულად გამოყვანილი ჩიტი-

ლებია და მას ყველა ის პროცედურა გავლილი აქვს, რაც ჩვენთან კარტოფილს სჭირდება, ამიტომ მხოლოდ პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო და არა უხვი წამლობა სხვადასხვა დაავადებებზე“, – ამბობს ფერმერი.

ინოვაციური მეთოდის გამოყვანილი კარტოფილის ჩიტილები მატე ჩიტაშვილის გარდა, სამცხე-ჯავახეთში კიდევ 38 ფერმერს გადაეცა. „ეს იყო სატესტე მდგომარეობა, უნდა გვენახა რამდენად გაამართლებდა. ჩემთან გამოვიდა და თავად ორგანიზაციიაც ძალიან კეთილ დარჩა, რომ ასეთი კარგი მოსავალი მივიღე, თუმცა იყვნენ ფერმერები, რომლებთანაც არ გაამართლა. თან პრობლემა ისიც იყო, რომ ცოტა გვიან მივიღეთ ჩიტილები, პანდემიის გამო, ტრანსპორტირების პრობლემა შეიქმნა.“

კარტოფილის თესლი რომელიც ფერმერებს გადაეცათ, სუბერ ელიტაა აქვს: „ეს არის ის კარტოფილი, რომელიც ფიზიკურად გაყიდვაში არ არის. პროგრამა სამწლიანი იყო, წელს უკვე დიდ მეურნეობაზე იქნება გათვლილი, ვისაც 2 და მეტ ჰექტარზე მოჰყავს კარტოფილი“.

პროექტში ჩიტილების გადაცემასთან ერთად, გათვალისწინებული იყო წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟებაც, თუმცა მათე ჩიტაშვილი ასეთ სისტემას უკვე წლებია იყენებს ბოსტნეულ კულტურებში: „მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პირველი ფერმერი ვიყავი, რომელსაც წვეთოვანი სისტემა ჰქონდა. იმიტომ, რომ სათბურები მაქვს და ბოსტნეულის მოსაყვანად კარგი მეთოდია“.

ზოგადად, წლის განმავლობაში მათე ჩიტაშვილი კარტოფილს 1-1.5


ჰექტარზე თესავს. ამბობს, რომ მიწის ნაკვეთები საკუთრებაში არ აქვს, ამიტომ დიდი ტერიტორიების არენდით აღებასა და დამუშავებას ვერ ახერხებს. გარდა ამისა, ცდილობს თესლბრუნვა მოახერხოს.

„წელს, ძირითადად ხორბალი დავთეს, იმიტომ, რომ მიწას თესლბრუნვა სჭირდება. ანუ 4 წელიწადში ერთხელ უნდა შეიცვალოს მიწაზე კულტურა და შარშან რომ კარტოფილი მქონდა, წელს იქ ხორბალი დავთეს, მომავალ წელს სიმინდს დავთესავ, მესამე წელს, სხვა რამეს და მეოთხე წლისთვის უკვე კარტოფილს მოვაბრუნებ“.

მათე ჩიტაშვილი სოფლის მეურნეობაში რამდენიმე სახის ბოსტნეულს აწარმოებს. 75 მეასედზე გაშენებულ სათბურში თებერვლიდან კიტრის მოყვანას დაიწყებს, მერე კი სხვა ბოსტნეულს დაამატებს. მას შემდეგ, რაც სათბურში მუშაობა დასრულდება, ლია გრუნტში გადაინაცვლებს. მისთვის შეუცვლელის ბროკოლი, რომლის რეალიზაციასაც გვიან შემოდგომამდე ახდენს. „თებერვლიდან უკვე სამუშაობი დაიწყება. კიტრის შემდეგ საადრეოდ ბროკოლის ჩიტილს გამოვიყვანთ. ადრე ჩიტილებსაც ვყიდდი, მაგრამ ახლა აღარ ვაპირებ, რადგანაც მიწას ვაცდენ, მხოლოდ ბოსტნეულზე ვმუშაობ და ადგილობრივ ბაზარზე ვახდენ რეალიზაციას. სეზონის დასაწყიში, დაახლოებით 3 კვირა, – 1 თვე კიტრს კარგი ფასი აქვს ხოლმე, მერე ბევრი შემოდის და ფასი ეცემა. ჩემი აზრით, მთავარია ეს საქმე გიყვარდეს და დასათესი და სამუშაო არ გამოილევა“, – ამბობს მათე ჩიტაშვილი.

**თავთ ფინანსურული,  
ვალე 2022**

## პირველი ქართველი აგრონომი ქალი – ეკატერინე ჯანდიარი



დაიბადა 1881 წლის 7 დეკემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩა-ძიანში.

1889 წელს ჩაირიცხა ამიერკავკა-სიის ქალთა ინსტიტუტში. 1907 წელს დამთავრა ქ. ლოზანის (შვეიცარი) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხუთწლიანი კურსი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისივე მამულში, ვაჩაძიანში, სოფ-ლის მეურნეობას მიჰყო ხელი და სა-

მაგალითოდ გამართა მამის მეურნე-ობა. მოაწყო ლაპორატორია, უზია-რებდა ცოდნას ადგილობრივ ქალებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

შვეიცარიიდან ჩამოიტანა ათობით ფილოქსერაგამძლე ვაზის ნერგი, გამოიწერა და მიიღო სიმინდის საფ-შველი, პურის სალენი, მემინდვრე-ობისათვის განკუთვნილი მანქანები, რძის გადასამუშავებელი აპარატი.

ფიზიკურად მუშაობდა მინდვრად, ვენახში. საოცარი ოსტატობით ამყ-ნობდა ვაზს.

ხშირად ჩადიოდა თბილისში და კავ-კასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგა-დოების წევრებს ლექციებს უკითხავ-და სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

ეკატერინე ჯანდიერი ვაჩაძიანში ეწეოდა სამეცნიერო მუშაობასაც. საამისოდ ჰქონდა მიეროსკოპი და იმ დროს პირობაზე კარგად მოწყობი-ლი ლაპორატორია. ასევე სოფლები შექმნა ბიბლიოთეკა.

მის შესახებ, ილია წინამდღვრიშვი-ლი გაზეთ „ივერიაში“ წერდა:

„ჩვენ ქალთა შორის გამოჩნდა ჯე-რეთ ერთად ერთი ყმაწვილი ქალი-მე-

ურნე, მქადაებელი მეურნეობის ცოდ-ნისა, განვითარებული თეორიით და ვარჯიშობით საზღარ-გარეთ სამე-ურნეო საგნებში. ეს ქალი არის-ეკა-ტერინე ჯანდიერის ასული. დღეს იგი ვარჯიშობს კახეთში, სოფელ ვაჩა-ძიანში, თავის მამის მამულში. იმისმა სამეურნეო ცოდნამ და გონივრულმა ვარჯიშობამ გამოიწვია თანაგრძო-ბა და სიყვარული მეურნეობის შეს-ნავლისა გლეხ-ქალთა შორის. თავად ეკატერინე ლევან ჯანდიერის ასულის ხელმძღვანელობით გლეხების შვი-ლები-ქალები ვარჯიშობით ითვის-ტენ სამეურნეო ცოდნას. ამ ორ თვე-ში ამ ქალის მეობებით გავრცელდა მიდამო სოფლებში მოვლა-მოშენება ბოლქვანარებისა: კომბოსტონი, კარ-ტოფილისა, ბაღრიჯანისა, და სხვა და სხვა საბოსტო მცენარეებისა, რაიცა მოსალოდნელიც-კი არ იყო“.

ეკატერინე ჯანდიერი გარდაიც-ვალა 48 წლის ასაკში, 1930 წლის 6 აგვისტოს. დაკრძალულია დიდუბის მნერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**მოამზადა  
თამარ ჯანდიარებიანი**

### ვაჭუთაობა

## როგორ სუსტავს ფუტკრის გუდი ზამთარში

ზამთარში ფუტკრის გუდის კრავენ და ამგვარად ინარჩუნებან მუდმივ ტემპერატურას, ტენიანობას და აირის პონტიფიციაციას.

ვინაიდან გუნდად შეერული ფუტ-კრები სკის შიდა და გარე არეალში ჰარის ცვლას ვერ აკონტროლებენ, ამიტომ ამ პარამეტრებზე გავლენას ფუტკრის გუნდისათვის საზამთროდ ბუდის მოწყობა და განიავების სის-ტემა ახდენს.

ფუტკრის გუნდში ფიზიოლოგი-ური პროცესების მიმდინარეობაზე ასევე ახდენს გავლენას სკის შიგ-ნით დაგროვილი წყლის ორთქლი და ნახშირორუანგი. ზამთარში, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფუტკრის გუნდის ირგვლივ ტემპერატურა და გარემოს ტემპე-რატურა (იმის მიუხედავად რა ტი-პის ან რა მასალისგან დამზადებუ-

ლი სკა გვაქვს), უახლოვდება გარე-მოს ტემპერატურას, ამიტომ ფუტ-კრის ოჯახის დათბუნებაზე უფრო მნიშვნელოვანი სკის განიავების (ვენტილაცია) სწორად უზრუნველ-ყოფაა.

მოზამთრე ფუტკრის გუნდის ცენ-ტრში ტემპერატურა  $22^{\circ}\text{C}$  ცელსიუ-სზე დაბლა არ ეცემა, თუმცა, შეიძლე-ბა 30 გრადუსამდეც კი მერყეობდეს, ბარტყის გამოზრდის დროს კი  $4-35^{\circ}\text{C}$  გაუტოლდეს.

ფუტკრებისთვის სითბოს ნარმოქ-მნის წყარო, საკვების მარაგი – ნახ-შირწყლებია, რომელიც ფუტკრის ორგანიზმი მიმდინარე მეტაბოლიზ-

მის შედეგად ნახშირორუანგად და წყლად გარდაიქმნება.

ზამთრის პირველ ნახევარში საკ-ვების მარაგზე მოთხოვნა შემცირე-ბულია – დღეში საშუალო სიძლიერის ოჯახი, დაახლოებით 20 გრამს მოიხ-მარს.

20 გრამი თაფლის თბილენერგიად გარდაქმნისთვის 15 ლიტრი ჟანგბადია საჭირო, ეს კი 70 ლიტრი ატმოსფერუ-ლი ჰაერის ტოლფარდია, რის გადამუ-შავების შედეგად გამოიყოფა 15 ლიტ-რი წყლის ორთქლი და 90 ლიტრი აირი.

სკის შიგთავსის ზომები ჰაერის მო-ცულობას არ ესადაგება, რადგან სკა-ში არის ჩარჩოები საკვები მარაგით, ფუტკრი, შემდეგ კი ბარტყიც, ამი-ტომ ჰაერის რაოდენობა სკაში მისი მოცულობის ნახევარს თუ მოიცავს.

მაგალითად, 10 ჩარჩოან სკაში პა-ერის მოცულობა 38 ლიტრია, ხოლო სკაში ჩარჩოების და ფუტკრის ოჯა-ხის გათვალისწინებით ის 19 ლიტრს შეადგენს და ისიც ზამთრის ბოლოს.

ადვილი გამოსათვლელია, რომ გა-მოყენებული ჰაერის (90 ლიტრს) გა-ნიავება დღეში 5-ჯერ უნდა მოხდეს. ეს მონაცემები რომ დავიანგარიშოთ, შეიძლება გამოვთვალოთ, რომ ყო-ველ საათში სკაში 4 ლიტრა ჰაერი უნდა განიავდეს და სკა ამავე რაოდე-ნობის სუფთა ჰაერით შეივსოს.

ზამთრის პირველ ნახევარში სკა-ში ამავე რაოდენობის წყლის ორთქ-ლი წარმოიქმნება. მეორე ნახევარში, როცა ჩნდება ბარტყი, თბურ ენერ-გიაზე მოთხოვნა იზრდება, რადგან სკაში უფრო მაღალი ტემპერატურაა საჭირო. იზრდება ფუტკრის აქტივო-ბა და მეტაბოლიზმი.

უფრო მეტი საკვები მარაგის (თაფ-ლის და ჭეოს) გამოყენების შედეგად უფრო მეტი წყლის ორთქლი და ნახ-შიროვანგი გამომუშავდება, ამი-ტომ ეს აირები უფრო სწრაფად უნდა გამოიდევონს სკიდან, ვიდრე ზამთ-რის საწყის პერიოდში ხდებოდა.

სკიდან ჰაერი საფრენიდან და სხვა სავენტილაციო ჭრილებიდან, დიფუ-ზის პრინციპით ნიავდება. დიფუზია ხდება არა მხოლოდ დიდი სავენტი-ლაციო ჭრილებიდან, არამედ მცირე ჭუჭრუტანებიდან და ნაპრალებიდან, რომელიც ბევრია ხის ძველ სკებზე, შესაბამისად ასეთ სკებში ტენიანო-ბის პრობლემა არ არის.

სკის შიგნით წყლის ორთქლის მა-ღალი კონცენტრაცია უარყოფითად

მოქმედებს ფუტკრის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. წყლის ორთქლის გამოყოფა ფუტკრის ორგანიზმიდან ასეთ დროს გაძნელებულია, რაც მათ დასუსტებას და ნაადრევ სიკედილ ინვევს.

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა და-მოკიდებულია ტემპერატურაზე, რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით უფრო ნაკლები წყლის ორთქლით არის გაჯერებული ჰაერი. ამის მაგალითია ცნობილი ატმოსფერული მოვლენა

ჩოები წყალს შთანთქავს და იწყებს ფერმენტაციას. მდგომარეობა თან-დათან რთულდება, ფუტკრები უფრო ინტენსიურად იკვებებიან, რომ გამო-ასწორო ტემპერატურული ბალან-სი გუნდში. ამის გარდა გაზაფხულ-ზე ჩნდება ბარტყი, რაც დამატებით ზრდის საკვებ მარაგზე მოთხოვნას და შესაბამისად უფრო მეტი წყლის ორთქლის წარმოქმნას. თუ გარემო ტემპერატურა უარყოფითია, კონ-დენსირებული წყალი იყინება სკის



წყლის წვრილი წვეთები ჰაერში ნის-ლიანი ამინდის დროს, ან ნამის, რთვი-ლის, ჭირხლის წარმოქმნა საგნებზე.

სკაშიც მსგავსი მოვლენა ხდება-თბილი ჰაერი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით წყლის ორთქლს, გამოიდევნება შეკრული ფუტკრის გუნდიდან, სკის შიგნით ცივდება და წვეთებად კონდენსირდება ცივ ფიჭა-ზე, სკის კედლებზე. მისი ხელმეორედ აორთქლება იწვევს ჰაერის ტენიანო-ბის გაზრდას. სკის შიდა ნაწილი უფ-რო ცივდება, რადგან სკის კედლები, ბალიში, საფარი ტილო სითბოს კარგი გამტარი ხდება.

ფიჭაზე და ჭეოზე წარმოიქმნება ბი, გადაუბეჭდავი თაფლიანი ჩარ-

ძირზე, ან წარმოიქმნება ყინულის ოლოლები ჩარჩოს ძირზე.

ალნერილი ვითარება იქმნება სუსტ ფჯახებში და სკეპში რომლებიც ცუ-დად ნიავდება.

ძლიერ ფჯახებში ფუტკარი თითქ-მის ყველა ჩარჩოზეა და მარტო თავი-ანთ ჩარჩოებს კი არა, ჭერსაც, დიაფ-რაგმასაც და სკის ერთ-ერთ კედელ-საც ათბობენ.

ასეთ შემთხვევაში წყლის ორთქლი თავისუფლად გამოდის საფრენიდან და სხვა გასანიავებელი ჭრილები-დან.

**ვტორი: სლამომირ ჟამინისამი  
თარგმანი: ნინო ჩიჭიანი**

## გაზოვდომა

# სანახენი მუჟამისი საკითხები მებრძოვებაში



ბოცვრის ძირითადი და მთავარი ბიოლოგიური თავისებურებანი, რო-მელსაც სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, არის ადრეულო-ბა, მაღალ-ნაყოფიერება და გამრავ-

ლების უნარი, ზრდისა და განვითა-რების ინტენსიურობა. კვების და-ნახარჯების ეფექტური უკუგება და კარგი აკლიმატიზაციის უნარი. ბოკ-ვერი იყო ერთ-ერთი პირველი ცხო-ველი, რომელიც იმყოფებოდა კოს-მოსში, იყი ყველაზე გავრცელებული ცხოველია, რომელსაც ფართოდ იყე-ნებენ კვლევების ჩატარების მიზნით ლაპორატორიებში, ხოლო მედიცინა-ში და ბიოლოგიურ წარმოებაში სხვა-

დასხვა სამურნალო პრეპარატების დასამზადებლად.

ადრეული სქესობრივი სიმწიფის, მაღალანუყოფერების და მაკეობის პერიოდის სანმოკლეობის გამო ერთი დედა ბოცვრისაგან წლის განმავლო-ბაში შესაძლებელია მივიღოთ 24-40 ბაჭია და 60-70 კგ ხორცი. ბოცვერი სასოფლო-სამეურნეო ცხოველები-საგან მალმწიფადობით ხასიათდება.



განსაკუთრებით ინტენსიურად იზრდება პოსტ-ემბრიონული პერიოდის 3-4 თვის ასაკში.

მსოფლიოში ცნობილია ბოცვრის 60-მდე ჯიში და ჯიშური ჯგუფი. საქართველოში 6 ჯიშია მოშენებული. არჩევენ სახორცე, სახორცე ტყავ-ბენვეული და სათივთიკე მიმატრთულების ჯიშის ბოცვრებს. ჩვენს რესუბლიკაში აშენებენ, როგორც სახორცე (კალიფორნიული, ახალზელანდიური თეთრი), ასევე სახორცე-ტყავბენვეული (საბჭოთა შინშილა, რუხი გოლიათი, ვერცხლისებრი, ვენური ციფსერი) ჯიშებს. საკარმიდამო მეურნეობაში ძირითადად გავრცელებულია სახორცე-ტყავბენვეული მიმატრთულების ჯიშის ბოცვრები.

საბჭოური შინშილა – გამოირჩევა მაგარი კონსტიტუციით, მსხვილი ტანაგებულებით, ხშირი ბენვეული საფარით, ადრეულ ასაკში ზრდის მაღალი ინტენსიურობით. ამ ჯიშის ბოცვრები გამძლე და მაღმინფადნი არიან, იძლევიან კარგი გემოს ხორცს. საშუალო მაჩვენებლები: ცოცხალი მასა 5 კგ, ტანის ირიბი სიგრძე 60-61 სმ, გულმკერდის შემოწერილობა – 38 სმ, მერძეულობა 184-200 გ. ნაკლავის გამოსავალი 46-52 %, ნაყოფიერება 7-8 ბაჭია.

თეთრი გოლიათი – ხასიათდება მაგარი კონსტიტუციით, ბენვოვანი საფარი - თეთრი და ხშირი. ტყავი გამოიყენება ნატურალურ მდგომარეობაში, ადგილად იღებება. უმაღლეს დღე-დღამურ მასას აღნევს 3-4 თვის ასაკში. თეთრი გოლიათის ჯიშის ბოცვრებს აშენებენ, როგორც ხალასად, ასევე სამრენველო შეჯვარებისათვის. ჯიშისათვის დამახასიათებნლია საშუალო მაჩვენებლები – ცოცხალი მასა 5,1 კგ. სხეულის სიგრძე 60 სმ. გულმკერდის ირგვლივა 38 სმ, ნაყოფიერება 7 ბაჭია, ნაკლავის მასა 48 %.

რუხი გოლიათი – მეხორცულ ტყავ-ბენვეული მიმართულების ახალი მაღალმრიოდუქტოული სასარგებლო ჯიშია. დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის რუხი გოლიათი სასურველ მოსაშენებელ ჯიშად გამოიყენება. ახასიათებს ღრმა და გონიერი გულმკერდი. ნაყოფიერება 6-7 ბაჭია. ბენვოვანი საბურველის შეფერვა რუხი, ადრეულია, 4-5 თვის ასაკში ამთავრებს ზრდას. ნაკლავის გამოსავლიანობა 60 %. გერცხლისებრი ჯიში კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მშრალ პირობებს.

ვენური ცისფერი – გამოირჩევა მაღალი პროდუქტოულობით და კარგი ლირებულების ტყავ-ბენვეულით. ჯიში კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებს. ზომით საშუალო სიდიდის შინაურ ბოცვერთა ჯიშებს უტოლდება. დედალი ბოცვრის საშუალო ცოცხალი მასა 3-4 კგ-ია. ახასიათებს ჯმუხი ტანაგებულება, ნაყოფიერება 6-7 ბაჭია, ნაკლავის გამოსავალი 48-50 %. გვხვდება ღია ცისფერი. საშუალო და მუქი ცისფერი შეფერილობის ჯგუფები. დამახასიათებელია ხშირი და რბილი ბენვოვანი საბურველი, რის გამოც ტყავ-ბენვეულს იყენებენ მაღალი ღირსებების ბენვეულის დასამზადებლად.

საბჭოური მარდერი – სიდიდით საშუალო მასის ჯიშებს უტოლდება, დედალი ბოცვრის ცოცხალი მასა 3-5 კგ-ია. მაღალნაყოფიერია, 6-7 ბაჭიას იძლევა. მარდერი კვერნის ფერისაა ე.ი. მუქი ყავისფერი საშუალო და ღია ელფერით. სავარაუდოა, რომ კავკასიის სამხრეთ მთიანეთის მშრალ პირობებში ჩამოყალიბებული მარდერი კარგად უნდა შეეგუს საქართველოს ანალოგიურ (ახალქალაქი, ნინოშმინდა) პირობებს.

ვერც ერთი სასოფლო-სამეურნეო

ცხოველი ვერ შეედრება ბოცვრეს ზრდის სისწრაფეში. ბაჭიები დაბადებისას იწონიან 40-90 გ. მეექვსე ღღეს მათი წონა ორმაგდება, ხოლო 1 თვის ასაკში 10-12 ჯერ იზრდება. ბოცვრები ძალიან სწრაფად მრავლდებიან. 3,5-4 თვის ასაკში აღწევენ სქესობრივ სიმწიფეს. დედლები გამოირჩევიან კარგი ნაყოფიერებით. იძლევიან საშუალოდ 6-9 ბაჭიას, ნლის განმავლობაში შეიძლება მიღებული იქნეს 6-8 შთამომავლობა. შეწყვილებისთვის გამიზნული დედალი და მამალი ბოცვერი კარგი კონდიციის უნდა იყოს. გამხდარი დედალი ბოცვრები ცუდად ნაყოფიერდებიან და ყრიან სუსტ ბაჭიებს, რომლებიც შემდეგ ცუდად იზრდებიან. დაგრილების დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე სუსტი დედა ბოცვრები უნდა იკვებონ გაძლიერებულად კარგი ხარისხის თივით, ქერით, ქატოთი და ნეკერით.

გადასუქებული დედლები ცუდად გრილდებიან, ახასიათებთ დაბალი ნაყოფიერება (ორი-სამი ბაჭია), ამიტომ როგორც დედალს, აგრეთვე მამალს დაგრილების პერიოდში საკვების ნორმა 10-20%-თ უნდა შეუმცირდეს.

პირველი დაგრილება მამალმა უნდა მოახდინოს 8 თვის ასაკში. ისეთი მამლები, რომლებიც კარგად ანაყოფიერებენ დედლებს გვაძლევენ კარგ შთამომავლობას, მწარმოებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს 4-5 ნლის განმავლობაში, საშუალოდ კი 2-3 ნელინადს. დედალს პირველად აგრილებები 5 თვის ასაკში.

ბოცვრების შეწყვილებამდე საჭიროა მათი ჯანმრთელობის შემოწმება, არ შეიძლება ისეთი დედლის დაგრილება, რომელიც დაავადებულია მასტიტით, ქეცით ან ინფექციური თუ ინგაზიური დაავადებით.

დაგრილების ჩატარების მიზნით დედალი გადაყვანილ უნდა იქნეს მამლის გალიაში, ნინააღმდეგ შემთხვევაში მამალს უცხო გარემოს მიჩვევისათვის სქირდება დიდი დრო, რის გამოც დაგრილება ჭიანურდება. დაგრილება მიზანშეწონილია მოხდეს: ზამთარში 11-დან 15-16 საათამდე. ზაფხულში დილით ადრე 8-10 საათამდე და საღამოს საათებში 19-20 სთ. მამალს დღეში შეუძლია დააგრილოს 4 დედალი.

დედლების დაგრილება შეიძლება ნლის ნებისმიერ დროს. ახურება გრძელდება 3-5 დღეს. ბოცვერი მოგების მეორე დღეს მოდის ხურებაში

და შეიძლება მისი დაგრილება. დედალი ბოცვერი, რომელიც ახურებულია ადვილად ნაყოფიერდება. ახურებული დედალი სწრაფად უშვებს მამალს დასაგრილებლად. დაგრილების შემდეგ მამალი გვერდზე ეცემა სპეციფიკური წრიპინით. განაყოფიერების შემონაბეჭის მიზნით მეზუთე-მეექსე დღეს დედალი ისევ მიჰყავთ მამალთან. თუ დედალი დაგრილებულია, მამალს აღარ იკარებს. პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დედალი განაყოფიერებულია.

საკონტროლო შემონმება ზოგჯერ არ იძლევა სასურველ და ზუსტ შედეგს, რიგ შემთხვევაში განაყოფიერებული დედალი დასაგრილებლად კვლავ უშვებს მამალს. დაგრილებიდან მე-13-15 დღის შემდეგ ჩანასახს ზომა დაახლოებით თხილის ზომისაა. ემბრიონი შეინიშნება მუცლის შუა ხაზის გასწრივ პალპაციით. ჩანასახები განლაგებულია ერთმანეთის მიყოლებით. აქვთ ოვალური ფორმა, რბილი და ელასტიურია.

ბოცვერებს მაკეობის მეორე ნახევარში, როდესაც ჩანასახი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება, კვებავენ კარგი ხარისხის თივით, პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურებით, დამატებით აძლევენ წენიან საკვებს – სტაცილოს, გარეცხილ კარტოფილს, კომბოსტოს, ხოლო ზაფხულობით ბალახის მწვანე მასას.

მოგებამდე 3-5 დღით ადრე ბოცვერი აწყობს ბუდეს საბუდარში, ამისათვის იცლის თივთიკს მეერდიდან და აგროვებს საბუდარში. მოგებამდე 2 დღით ადრე ბუდე უნდა შემონდეს. თუ იგი გაკეთებული არაა, საჭიროა ბოცვერს ფრთხილად მოსცილდეს თივთიკი და მოეწყოს ბუდე. აუცილებელია მაკე ბოცვერებს გალიაში ჰქონდათ სასმელი წყალი და სალოკავი მარილი. მოგება ძირითადად ლამის საათებში მიმდინარეობს, იშვიათად დილით და დღისით, გრძელდება 15-30 წუთის განმავლობაში, ცალკეულ შემთხვევაში მოგება შეიძლება 50-60 წუთს გაგრძელდეს. მოგების დროს ბოცვერი განიცდის წყალვილს, სასმელი წყლის ნაკლებობა მიზეზია, რომ დედა ჭამს ბაჭიებს, აუცილებელია დედალი უზრუნველყოფილი იყოს სასმელი წყლით. ბაჭიების შეჭმის ერთ-ერთი მიზეზია მაკეობის დროს საკვებში მინერალური მარილებისა და ვიტამინების ნაკლებობა. დედა ბოცვერი, რომელიც შემჩნეულია ბაჭიების ჭამი, დაუყონებლივ უნდა იქნეს გამონუნებული.

ბაჭიები იბადებიან შიშველი და თვალდახული. მოგების პირველ დღეებში საჭიროა დედლის შემოწმება მერძეულობაზე. ბოცვერის რძე სქელი და ყუათიანია. ბაჭის სჭირდება 2 გ რძე 1 გ წონამატებაზე. დღელამის განმავლობაში ბოცვერი გამოყოფს საშუალოდ 200-250 გ რძეს.

ბოცვერები მაღალი მერძეულები ხდებიან მეორე თაობის მიღების შემდეგ. ახალგაზრდა და ხანდაზმულ დედებს (3 ნელზე უსწეს) საგრძნობლად უქვეითდებათ მერძეულობა. თანდათან იზრდება ლაქტაციის 22-24 დღემდე, შემდეგ კი მცირდება. ბაჭიები 18-20 დღის ასაკამდე იკვებებიან მხოლოდ დედის რძით.

დაბადებიდან პირველ დღეებში ბაჭიები მჭიდროდ წვანან ბუდეში. მე-5-7 დღეს იმოსებიან ბენვით და თავისუფლად მოძრაობენ. მე-9-10 დღეს ბაჭიებს თვალები ეხილებათ. მე-16-20 დღის შემდეგ იწყებენ ბუდიდან გამოსვლას. ახალდაბადებულ ბაჭიებს აქვთ 16 სარძევე კბილი. 18-20 დღის ასაკიდან იწყება სარძევე კბილების შეცვლა და მთავრდება ერთი თვის ასაკში. ამ დროიდან ბაჭიები იკვებებიან მცენარეული საკვებით. წორმალურად განვითარების შემთხვევაში ერთი თვის ასაკში სხვადასხვა ჯიშის ბაჭიებს აქვთ შემდეგი წონა (გრამებში) – თეთრი და რუხი გოლიათი 600-700, ვენური ცისფერი 450-550, საბჭოური შინშილა 450-500. თეთრი სათივთიკე 450-500. ბაჭიები, რომლებიც დაბადებული არიან ზამთარში და ადრე გაზაფხულზე, უკეთესად ვითარდებიან, ვიდრე ზაფხულ-შემოდგომით დაბადებულები.

ბაჭიების ასხლეტამდე საჭიროა გალიების მომზადება, რომელშიც მოწყობილი იქნება საკვებურები, სარწყულებლები. ერთი თვის ასაკში ბაჭიები დამოუკიდებლად იკვებები-

ან, ამიტომ ამ ასაკში ხდება ასხლეტა. შემჭიდროებული მოგების დროს ბაჭიებს ასხლეტენ 27-28 დღის ასაკში, ისინი უკეთესად იზრდებიან თუ მათ ასხლეტენ 45 დღის ასაკში. ასეთი ბაჭიები დედის რძის მიღებასთან ერთად თანდათან გადადიან უხეშ საკეტზე, ასხლეტიდან 1,5-2 თვის განმავლობაში ბაჭიებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ, რადგან სწრაფად იზრდებიან, დებულობებს დიდი რაოდენობით საკვებს. ბაჭიების საკვები მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს იმ საკვებისაგან, რასაც ლებულობენ ასხლეტამდესხვა საკვებზე გადაყვანას, განსაკუთრებით მწვანე მასაზე, ახდენენ თანდათანობით, ძირითად საკვებზე მათი თანდათანობით დამატებით. ბალახი უნდა იყოს ახალი მოთიბული, მშრალი. ბაჭიებისათვის მარცვლეულებიდან საუკეთესო საკვებია: შვრია, ქერის ლერლილი, 2-3 საათის განმავლობაში წყალში დამბალი ცერცველა, ბარდა, ოსპი. ბაჭიებს საკვებს აძლევენ დღეში 4-5 ჯერ.

მებოცვრე უნდა ცდილობდეს არა მარტო გამოზარდის ბოცვერები, არამედ აამაღლოს მათი წონა, გაზარდოს ტყავის ზომები და ხარისხი, გააუმჯობესოს დედობრივი ინსტიქტი და ა.შ. ბევრი თვისება გადაეცემა შთამომავლობით, ამიტომ ბოცვერებს, რომლებსაც ტოვებენ შთამომავლობის მისაღებად აფასებენ არა მარტო გარეგნობით, არამედ მშობლებისა და წინაპრების ხარისხით. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნათესაურ შწყვილებას. ეს იწყევს სუსტი და მასინჯი შთამომავლობის მიღებას, მკვდარი ბაჭიების დაბადებას. სარემონტოდ არჩევენ ბოცვერებს 3 თვის ასაკში. მათი ერთხელ კიდევ გადარჩევა ხდება შემოღომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც მათ აფასებენ ბენვის ხარისხის მისედვით.





ბოცვრების ძირითად საკვებს წარმოადგენს მცენარეულობა, რომელიც შეიცავს ცხოველებისათვის სასარგებლო ცილებს, ცხიმებს, სახამებელს, ვიტამინებს, მინერალებს.

